ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 28 ივლისი, 2016 №177 (7103) ფასი: 50 თეთრი

პაპუაშვილი პრემიერს შეხვდა

გვ.2

27 ივლისიდან
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

კახიშვილი კალაძის წინააღმდეგ?

გვ.4

„მე არ ვთვლი, რომ პრეზიდენტი ჭორაობს. არ ვიცი, რის საფუძველზე გააკეთა პრეზიდენტმა ეს განცხადება, თუმცა ასეთი ტიპის განცხადებები არის წინაპირობა, რომ გამოძიება დაიწყოს“

სასჯელაღსრულების მინისტრი კორცხელის ინციდენტის გამოძიებას ითხოვს

კახა კალაძე: „გიორგი პაპუაშვილის განცხადებები პოლიტიკურია“

გვ.2

რამაზ საყვარელიძე: „პაპუაშვილის საქმეში პრეზიდენტის პოლიტიკურ ინტერესს ვერ ვხედავ“

გვ.3

მერაბ ტურავა: „ჩემზე ზეწოლა არავის მოუხდენია“

გვ.3

„მე არ ვიცი, პაპუაშვილს რა ინფორმაცია აქვს“

თურქეთის ელჩი საქართველოში: „თურქეთი არც ნატოს დატოვებს, არც ევროპას მოწყდება და არც რუსეთთან დადებს ალიანსს“

გვ.2

„როდესაც მინდია გოგოჭურმა ადვოკატი მოითხოვა, პოლიციელებმა უთხრეს, თავი ევროპაში ხომ არ გგონიაო“

გვ.4



პრეზიდენტის სიძემ პროკურატურა უკომენტაროდ დატოვა

გოგოჭურის დაკავების დროს მას დაახლოებით 6 საათით შეუზღუდეს პოლიციელებმა გადაადგილების თავისუფლება, დაკავება განხორციელდა უხეში დარღვევებით, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ მისი დაკავება გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა.

ხაჯიმბამ მთავრობა გადააყენა

ოპოზიცია გამარჯვებას ზეიმობს

გვ.4

ISSN 1987-9385

სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

გვ.3

თურქეთის ელჩი საქართველოში: „თურქეთი არც ნატოს დატოვებს, არც ევროპას მოწყდება და არც რუსეთთან დადებს ალიანსს“

ნათია ხურცილავა

გუშინ, 27 ივლისს, თურქეთის რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში ზექი ლევენთ გუმრუქჩუმ ქართული და უცხოური მედიისთვის საგანგებო პრესკონფერენცია გამართა.

ელჩმა პრესკონფერენციაზე თურქეთში 15 ივლისს სამხედრო გადატრიალების მცდელობაზე ვრცლად ისაუბრა.

– არ არსებობს არანაირი საფრთხე. თურქეთში რომ წახვიდეთ, საგანგებო მდგომარეობით გამოწვეულ ვერავითარ ცვლილებას ვერ იგრძნობთ. თურქეთში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა გავლენას არ ახდენს და არ ვრცელდება ქვეყანაში ჩასულ ვიზიტორებზე, – განაცხადა ელჩმა.

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ მიღებულ ზომებზე საუბრისას ელჩმა თქვა, რომ ანალოგიური საგანგებო მდგომარეობა გამოცხადებულია საფრანგეთსა და ბელგიაში და ეს არის ჩვეულებრივი სამართლებრივი პროცედურა, რომელიც ადამიანის უფლებების დარღვევისკენ არ არის მიმართული.

ბ-მა გუმრუქჩუმ ვრცლად ისაუბრა 15 ივლისის ღამეს განვითარებულ მოვლენებზე და მას შემდეგ თურქეთში არსებულ ვითარებაზე.

– თურქეთის მთავრობას აქვს ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს, რომ სამხედრო გადატრიალება დაგეგმილი იყო ფეთჰულა გიულენის ტერორისტული ორგანიზაციის მიერ, – განაცხადა ელჩმა.

მისი თქმით, სამხედრო გადატრიალება კარგად იყო დაგეგმილი და მხარდაჭერილი, თუმცა ორგანიზატორები არ ელოდებოდნენ თურქეთის მთავრობის, მედიისა და ხალხის კონსოლიდირებულ ქმედებებს.

– თურქეთის მთავრობა არ შეუშინდა პუტჩისტებს და არ გაიქცა. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო პარტიების, განურჩევლად მათი პოზიციებისა, კონსოლიდირება და სახელმწიფო ინტერესების მაღლა დაყენება, – აღნიშნა ბ-მა გუმრუქჩუმ.

მისი თქმით, ხალხმა იბრძოლა და თავი დადო დემოკრატიის დასაცავად.

– თურქმა ხალხმა შიშველი ხელებით გაუწია იმ ღამით წინააღმდეგობა ტანკებსა და თვითმფრინავებს. ახლა, თურქეთში სიტუაციას მთლიანად ხელისუფლება აკონტროლებს. თურქეთი თავის ჩვეულ ცხოვრების რიტმს დაუბრუნდა, – განაცხადა თურქეთის ელჩმა.

მან ისაუბრა თურქეთში ავიარეისების განხორციელებასთან დაკავშირებითაც. ელჩის თქმით, ამ კუთხით რაიმე შეფერხება არ არსებობს. მან ასევე უარყო მედიაში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აეროპორტში გაფრენამდე 5-6 საათით ადრე გამოცხადებაა საჭირო.

◆ ◆ ◆

დატოვებს თუ არა თურქეთი ნატოს?

ელჩის თქმით, არ არსებობს არავითარი ნიშანი იმის, რომ ეს მოხდეს. მეტიც, ელჩმა კატეგორიულად უარყო მოსაზრება, რომ თურქეთმა შესაძლოა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დატოვოს და ევროპას მოწყდეს.

– მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, ის მოსაზრებები, თითქოს თურქეთი ან გავა ნატოდან, ან მას გაუშვებენ ნატოდან, ან შეკრავს ახალ ალიანსს რუსეთთან, არის აბსოლუტურად არარეალისტური და მცდარი, – განაცხადა ბ-მა გუმრუქჩუმ.

„ახალმა თაობამ“ ელჩს ასეთი კითხვა დაუსვა:

– სიკვდილით დასჯის აღდგენა განიხილება თუ არა რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურაში ან ლობირებს თუ არა მას რომელიმე სახელმწიფო პირი?

– ამ წუთამდე ამ საკითხთან დაკავშირებით არავითარი ოფიციალური ნაბიჯი გადადგმული არ არის. ეს საკითხი მხოლოდ საზოგადოებაში განიხილება. ამდენად, ხალხის ინტერესიდან გამომდინარე, ჩვენმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ის ამ საკითხს სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან განიხილავდა. ხოლო ჩვენმა პრეზიდენტმა განაცხადა, თუ ეს საკითხი გავიდოდა პარლამენტში და პარლამენტი მიიღებდა მას, ის ხელს მოაწერდა ამ გადაწყვეტილებას. ეს იყო და ეს. ამ საკითხის ინიცირება არ მომხდარა, – გვიპასუხა თურქეთის ელჩმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ მიუღებელია განწყობა, რომელიც დასავლეთშია, რომ თითქოს თურქეთში უკვე შემოღებულია სიკვდილით დასჯა.

– თურქეთი არის დემოკრატიული, ღია და გამჭვირვალე, სამართლებრივი სახელმწიფო და სპეკულაციების ადგილი არ არის. ამერიკაში არის სიკვდილით დასჯა, მაგრამ ის არის დემოკრატიული ქვეყანა, – განაცხადა ბ-მა გუმრუქჩუმ.

ელჩმა აღნიშნა, რომ თურქეთში მიმდინარე წმენდა ქვეყნის კონსტიტუციასა და სამართლებრივ აქტებს შეესაბამება და ეს არის აუცილებელი ზომა. ელჩმა ასევე განაცხადა, რომ ინფორმაცია დაკავებულთა ციხეებში წამების შესახებ არასწორია. მან იქვე დაამატა, რომ თურქეთი წამების წინააღმდეგ არსებულ ყველა საერთაშორისო კონვენციას მიერთებულია.

– რაც შეეხება დაკავებულთა რიცხვის ზრდას, პრობლემა, რომლის წინაშეც მათ დაგვაყენეს, გაცილებით უფრო მძიმე იყო, ეს რიცხვი არაფერია. ჩვენ ვსაუბრობთ სამხედრო გადატრიალებაზე, რომელიც მიზნად ისახავდა დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლების ჩამოგდებას, – აღნიშნა ზექი ლევენთ გუმრუქჩუმ.

ელჩმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორი დღის წინ გამოქვეყნებული განცხადებისთვის მადლობა გადაუხადა. მანვე განსაკუთრებით გაუსვა ხაზი საქართველოს პრემიერ-მინისტრის თურქეთში განხორციელებული ვიზიტის მნიშვნელობას.

– სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ძალიან მალე მომხდარი ფაქტიდან იყო ძალიან მნიშვნელოვანი თურქეთისთვის, – აღნიშნა ელჩმა.

მან ასევე მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს, მთავრობასა და ქართველ ხალხს სამხედრო გადატრიალების დროს გამოჩენილი მხარდაჭერისთვის.

◆ ◆ ◆

პოლიტიკური ნაწილის შემდეგ ელჩმა ვრცელი დრო ეკონომიკას დაუთმო.

რამდენი იზარალა თურქეთის სახელმწიფომ გადატრიალების მცდელობის გამო?

მან უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამხედრო გადატრიალების შემდეგ თურქეთის ეკონომიკური მაჩვენებლები გაუარესდა, ან თურქეთში ბოლო დროს მომხდარი მოვლენები თურქეთ-საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობებზე აისახება.

ელჩი აცხადებს, რომ ტურისტული სექტორის შედარებით დაბალი მაჩვენებლები უკავშირდება არა იმდენად გადატრიალების მცდელობას, რამდენადაც რუსეთთან განვითარებულ მოვლენებს.

– ეს პროცესი დაიწყო გადატრიალების მცდელობამდე. რუსეთ-თურქეთის კრიზისის გამო შემცირდა რუსეთიდან ჩამოსული ტურისტების რაოდენობა. გარდა ამისა, გავლენა იქონია ტერორისტულმა აქტებმა. პლუს, გადატრიალების კადრების გავრცელებამ დააფრთხო საზოგადოება, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მცდელობა ტურიზმის სექტორის ხელშეწყობად გამოიღებს შედეგებს, – განაცხადა ელჩმა.

მისი თქმით, თურქეთი არის აბსოლუტურად უსაფრთხო ქვეყანა. თურქეთში ყველა ეკონომიკური პარამეტრი უკეთეს მაჩვენებელს აჩვენებს, ვიდრე ადრე.

– ეკონომიკური სიჯანსაღის დასამტკიცებლად ყველაზე კარგი მაგალითია ეროვნული ვალუტის კურსი. გადატრიალების მცდელობის შემდეგ, პირველ დღეებში, გვქონდა მცირედი ვარდნა, მაგრამ ახლა უკვე დაუბრუნდა გადატრიალებამდე არსებულ ნიშნულს. მინდა ქართველი მეგობრები დავამშვიდო, თურქეთის ეკონომიკა არის ჯანსაღი და მომავალი ეკონომიკური ურთიერთობები იქნება მტკიცე, – განაცხადა ელჩმა.

– სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე სატვირთო მანქანების რიგი უკავშირდება თუ არა თურქეთში გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობას?

ამ კითხვას ელჩმა უარყოფითად უპასუხა.

– მსგავსი პრობლემა ყოველ ზაფხულს იქმნება, რადგან სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის გამტარიანობა დიდი არ არის, – განაცხადა ბ-მა გუმრუქჩუმ.

ელჩის თქმით, თურქეთის მთავრობაში ცოტა ხნის წინ გაკეთდა განცხადება, რომ ყველა საბაჟო პუნქტზე, მათ შორის სარფშიც, უნდა დაწესდეს ე.წ. ერთი ფანჯრის პრინციპი და ამ კუთხით თურქეთი საქართველოს გამოცდილებას გაიზიარებს.

პაპუაშვილი პრემიერს შეხვდა

გუშინ, 27 ივლისს, საღამოს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი მთავრობის რეზიდენციაში პრემიერ გიორგი კვირიკაშვილს შეხვდა.

შეხვედრის შემდეგ პაპუაშვილმა განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში მთავარ პროკურორთან შეხვედრას გეგმავს.

როგორც პაპუაშვილმა აღნიშნა, პრემიერ-მინისტრის პოზიცია და მოსაზრებაა, რომ ის მაინც ენდობა საგამოძიებო ორგანოებს.

– შევხვდი საქართველოს პრეზიდენტს, ასევე საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რადგან სწორედ იგია აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი. ძალოვანი სტრუქტურები სწორედ აღმასრულებელ ხელისუფლებაში შედიან. კარგად მოგეხსენებათ იუსტიციის მინისტრის ნეგატიური დამოკიდებულება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი, ამიტომ მასთან შეხვედრას აზრი არ ჰქონდა და მე შევხვდი აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელს, რომელიც ზოგად კონტროლსა და მიმართულებას აძლევს ძალოვან სტრუქტურებს, – განაცხადა პაპუაშვილმა.

მისი თქმით, პრემიერმა მას აღუთქვა, რომ ისინი ობიექტურად გამოიძიებენ ამ საქმეებს, ამიტომ უნდა მჭიდროდ ვითანამშრომლოთ საგამოძიებო უწყებებთან.

– მე ჩემი კითხვის ნიშნები დამრჩა. პრემიერი თავის აზრზე დარჩა, რომ უნდა მივცეთ შესაძლებლობა პროკურატურას. მე ალბათ ამ დღეებში შევხვდები მთავარ პროკურორს, მასაც გავესაუბრები, – განაცხადა პაპუაშვილმა, თუმცა მთავარ პროკურორთან შეხვედრის ზუსტი დრო მას არ დაუკონკრეტებია.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ რამდენიმე დღის წინ გააკეთა განცხადება, რომლის თანახმადაც, გიორგი პაპუაშვილი ცალკეული მოსამართლეების მიმართ თვალთვალსა და დაშანტაჟებაზე საუბრობს. მისი თქმით, მიზანმიმართული ზეწოლა მიმდინარეობს ძირითადად, იმ მოსამართლეებზე, რომლებიც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებს განიხილავენ.

კახა კალაძე: „გიორგი პაპუაშვილის განცხადებები პოლიტიკურია“

– წარსულს ჩავაბარეთ პერიოდი, როცა ერთი პიროვნება იყო ყველაფრის ბატონ-პატრონი, ჯიბეში ედო პარლამენტიც, საკონსტიტუციო სასამართლოც, პოლიციაც და ჯარიც.

კახა კალაძე აღნიშნული განცხადებით, კიდევ ერთხელ გამოეხმაურა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებას მოსამართლეებზე ზეწოლის განხორციელებასთან დაკავშირებით და ასევე პროკურატურის განცხადებას, რომელმაც ყველა მოსამართლე და მათ შორის გიორგი პაპუაშვილი გამოკითხვაზე დაიბარა.

კახა კალაძე:

– პაპუაშვილის განცხადებები აშკარად პოლიტიკურ ჭრილშია გადაზრდილი. სრულიად გაუგებარია ჩემთვის მისი განცხადებები, რომ ის არ მივა პროკურატურაში.

მე ვფიქრობ, რომ ეს ადამიანი მიზანმიმართულად ცდილობს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება გარკვეულწილად დააკავშიროს პროკურატურასთან, თითქოს ჩვენ გვაქვს რაიმე ზეგავლენა.

მისივე თქმით, კატეგორიულად მიუღებელია, როდესაც მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან ხდება კონკრეტული სამსახურების დისკრედიტაცია.

– მათ უნდა შეიგრძნონ არსებული რეალობა, ჩვენ ვაშენებთ თავისუფალ საქართველოს, სადაც თავისუფალი მოქალაქეები იცხოვრებენ და რომ ქვეყანა დაფუძნებული იქნება დემოკრატიულ ინსტიტუტებზე, – დასძინა კალაძემ.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რამაზ საყვარელიძე: „პაპუაშვილის საქმეში პრეზიდენტის პოლიტიკურ ინტერესს ვერ ვხედავ“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში განვითარებულ ბოლო პერიოდის პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე აფასებს.

– ბატონო რამაზ, აქტუალურია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის და პრეზიდენტის განცხადებები. ხელისუფლების შტოებს შორის სერიოზული დაპირისპირებაა?

– არ ვიცი, რამდენად შეიძლება სერიოზული ვუწოდოთ დაპირისპირებას იმ პერიოდში, როცა წინასაარჩევნო პროცესი უკვე აქტიურ ფაზაშია შესული. ყველა, ვისაც ტენდენცია აქვს, რომ მიემხროს არასახელისუფლო პარტიას, ბუნებრივია, ხელისუფლებაზე ცდილობს ხმამაღლა, საჯაროდ რაც შეიძლება კრიტიკული ფორმულა წამოაყენოს. ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური ბრძოლაა.

– ანუ თქვენ ამ ყველაფერს განიხილავთ წინასაარჩევნო ფორმატში?

– აბა, რატომ აქამდე არ დგებოდა იგივე საკითხები?! რაც შეეხება პაპუაშვილს, მისი ბიოგრაფია, კარიერა, პოლიტიკური სიმპათიები ცხადია და იმ ჭრილში დგება მისი საკითხი, რასაც აქ მოგახსენებთ, რომ კრიტიკული იყოს ხელისუფლების მიმართ. და ამას იცით რა მაფიქრებინებს?!

– რა გაფიქრებინებთ?

– რეალურად ზეწოლისგან გადარჩენა თუ უნდოდა იგივე პაპუაშვილს, მას პროკურატურისთვის უნდა მიემართა. რა საჭიროა მედიაში საქმის გარჩევა?! რადგან მედია აირჩიეს თავის ინტერესების დამცველად, ეს მაფიქრებინეს, რომ პოლიტიკაა მოტივი და არა – რეალური სიტუაცია!

– გიორგი პაპუაშვილს პროკურატურაში აქტიურად იბარებენ, თუმცა ის არ მიდის. რატომ?

– არ მიდის იმიტომ, რომ საქმე არ მოგვარდეს, იყოს პრობლემური და მერე ამ პრობლემაზე ძახილის საფუძველი ჰქონდეთ მასაც და ხელისუფლების სხვა ოპონენტებსაც. ლოგიკა სწორედ ამაში შეიძლება დავინახოთ.

– „ქართული ოცნების“ ლიდერები აცხადებენ, რომ მოსამართლეებზე შანტაჟი უფრო ოდესიდან ხორციელდება, ვიდრე მათგან. ამას

რამდენად გაიზიარებთ?

– ეგ თემა საერთოდ დგას ქართულ სინამდვილეში, ოღონდ ამ შემთხვევაში მედიაში გაკეთებული განცხადება გამართლებული არ არის, რამდენადაც გამოძიების ინსტრუმენტები ხელისუფლების ხელშია. ამავე ხელისუფლების ხელში იყო მთელი კომპრომატი, რომლითაც შანტაჟი შეიძლება განხორციელდეს. არც ამ მასალის დამუშავებას დაადგა საშველი და არც სხვა ტიპის მასალა არ არის საიმისო, რომ საფუძვლიანად ხდებოდეს იმაზე მსჯელობა, ვინ ახორციელებს ზეწოლას.

ზეწოლა თავისთავად იარაღს გულისხმობს, ანუ იარაღი თუ არა აქვს ვინმეს, ისე ზეწოლას ვერ განახორციელებს. სავარაუდოდ, ეს იარაღი არის შანტაჟის იარაღი, მაგრამ ეს გამოძიებამ უნდა თქვას და არა საჯარო განცხადებებით ფარიკაობა ხდებოდეს. ორივე მხარე საუბრობს, თუმცა დასაბუთება არ ჩანს. ამიტომ მოსახლეობა არის გაოგნებული და დაღლილი.

– რატომ პასიურობს ხელისუფლება ამ კუთხით?

– რა მოგახსენოთ, მე მგონი, ყველას დააავიწყდა, რომ არსებობს სასამართლო ხელისუფლება და რომ სახელმწიფოში მას აქვს ის ფუნქცია, რასაც ახლა მედიას აკისრებს ყველა პოლიტიკოსი. მედიამ და საზოგადოებამ როგორ შეიძლება გაარკვიონ, ვინ არის მართალი?! მაშინ სასამართლო ხელისუფლება რა საჭიროა საერთოდ?!

– ბოლო დღეებია, გააქტიურდა პროკურატურა, როგორ ფიქრობთ, დაიდება რეალური სურათი?

– ვერ გეტყვით. გააქტიურდა იმიტომ, რომ რეაქცია იყო. ეს რეაქტიული გააქტიურებაა. ინიციატივა იყო პრემიერისა. თუ პროკურატურა მიუშვეს თავის ნებაზე, შეიძლება ის ისევ მოდუნდეს. პროკურატურას ხომ მოდუნებულ მდგომარეობაში ყოფნა ძალიან უყვარს. აქ მარტო პროკურატურის გააქტიურება არ არის საჭირო, საჭიროა მთლიანობაში, საზოგადოებიდან დაწყებული, ხელისუფლებით დამთავრებული იმის მოთხოვნა, რომ აქტიური იყოს პროკურატურა.

– ბოლო დღეებია, კვლავ დაიძაბა ურთიერთობა მინისტრთა კაბინეტსა და პრეზიდენტს შორის, მისი განცხადებებიდან გამომდინარე. პრეზიდენტმა მხარი აუბა პაპუაშვილს?

– ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ თუკი პოლიტიკური ინტერესით შეიძლება აიხსნას სხვების საქციელი, პრეზიდენტთან ასეთი პოლიტიკური ინტერესი არც არის და რეალურად არც უნდა იყოს. მას თავადვე აქვს ნათქვამი, ჩემს თავთან ხომ არ ვიქნები ოპოზიციაშიო. პრეზიდენტი არის ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელი, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე და ამ ფიგურას, ყველაზე ძლიერ ფიგურას ქვეყანაში, თუ ზეწოლას უკეთებენ, მაშინ ის რაღა პრეზიდენტია?! თუ მასზე რეალურად ზეწოლაა, ე.ი. სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან გვაქვს საქმე!

– რატომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან?

– მეტი ხომ არაფერია სახელმწიფო გადატრიალება? პირველ პირზე უნდა მოახდინო ზეწოლა. ამ საჯარო განცხადებით, მთელი ინსტიტუტის ბედ-იღბალი დგება კითხვის ნიშნის ქვეშ. ამიტომ სრულიად გაუგებარია პრეზიდენტის პოზიცია. რატომ გამოიტანა მან ეს თემა საჯარო განხილვისთვის.

– მოვისმინეთ შეფასებები, რომ პრეზიდენტი აღმოჩნდა მხარე, რომ ის არის ერთ-ერთი პოლიტიკური ძალის მხარდამჭერი. ამაზე რას ფიქრობთ?

– პრეზიდენტისთვის აზრს ასეთ მხარედ ყოფნისას ვერ ვხედავ. არის ნაციონალური მოძრაობა, მას ხელისუფლებაში მოსვლა უნდა, არის რესპუბლიკური პარტია, მასაც ხელისუფლებაში მოსვლა უნდა. პრეზიდენტს ხელისუფლებაში მოსვლა საიდან უნდა უნდოდეს, ის ხომ ისედაც ხელისუფლებაშია?! ის უმაღლესი ხელისუფალია. ამიტომ გაუგებარია, სად არის მისი პოლიტიკური ინტერესი!

– თავდაცვის მინისტრთან დაკავშირებით რას იტყვით? რატომ ალაპარაკდა ახლა?

– თავდაცვის მინისტრმა ჯერ კიდევ სავალდებულო სამსახურის შეწყვეტის შესახებ რომ გამოაცხადა, მაშინ გაჩნდა კითხვის ნიშნები, რომ მას პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებდა. ახლა, მით უმეტეს, ადვილია ამ მოტივის დანახვა, არჩევნების წინა პერიოდია. ის თუ შეუერთდა ზეწოლის გასაჯაროების კამპანიას, აქ პოლიტიკური მოტივი ადვილად ამოიკითხება მის პოზიციაში. თავდაცვის მინისტრიც ის თანამდებობაა, რომელმაც ასეთ შემთხვევაში პროკურატურას უნდა მიმართოს და არა – მასმედიას.

– რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ ეს ყბადაღებული თემა დაიხუროს?

– თემა როცა ყბადაიღება, იქ ძნელია მერე ამ თემისგან საბოლოოდ გათავისუფლება, მაგრამ გააჩნია, მოსახლეობის რა პროცენტი იზიარებს ამა თუ იმ თემას. ეს საკითხი ჯდება წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილში. ამ ვერსიით უფრო ახსნადია დღეს ამაზე ლაპარაკი, ვიდრე სხვა ვერსიებით. ასე რომ არ იყოს, პაპუაშვილის მხრიდან უპირველესი ნაბიჯი იქნებოდა, რომ ეს დევნა შეეჩერებინა სასამართლოს საშუალებით და არა – ასეთი განცხადებებით.

– თქვენც ფიქრობთ, რომ პაპუაშვილი ვიღაცის დაკვეთას ასრულებს?

– შეიძლება დაკვეთას არ ასრულებს, მაგრამ ვინც არ ესიმპათიურება, მასთან დაპირისპირებისკენ გაურბის ხელი.

მერაბ ტურავა: „ჩემზე ზეწოლა არავის მოუხდენია“

„მე არ ვიცი, პაპუაშვილს რა ინფორმაცია აქვს“

გულიკო ბალაძე

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილის განცხადების შემდეგ, რომელიც მოსამართლეებზე ზეწოლას შეეხებოდა, საკონსტიტუციოს ზოგი მოსამართლე პროკურატურაში დასაკითხად დაიბარეს. მათ შორისაა მერაბ ტურავაც, რომელიც „ახალ თაობას“ ესაუბრა.

– ბატონო მერაბ, თქვენი პოზიცია როგორია გიორგი პაპუაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით?

– მე პროკურატურაში ვარ დაბარებული ისევე, როგორც სხვა მოსამართლეები. რას შემეკითხებიან, არ ვიცი, მაგრამ არავითარი ინფორმაცია არ მაქვს, რომელიც ჩემზე ან სხვებზე ზეწოლას დაადასტურებდა.

– ორი მოსამართლე დაკითხა პროკურატურამ, რომლებმაც ასევე განაცხადეს, რომ ზეწოლა მათზე არ მომხდარა. თქვენ არ იცით, რა ზეწოლაზე საუბრობს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე?

– არ ვიცი. მე ვიცი, რომ ჩემზე ზეწოლა არ განხორციელებულა, არც ფსიქოლოგიური, არც – ფიზიკური. ვერც სხვა მოსამართლეებისგან მოვისმინე რაიმე ინფორმაცია მათზე ზეწოლის თაობაზე. შეიძლება ჩემთან არ თქვეს, მაგრამ თუ რაიმე აქვთ სათქმელი, პროკურატურას უნდა უთხრან.

– თქვენი აზრით, შესაძლებელია რომელიმე მოსამართლეზე რაიმე ზეწოლა იყოს განხორციელებული?

– იქიდან გამომდინარე, რომ მე არ ვიცი, პაპუაშვილს რა ინფორმაცია აქვს, ჩემთვის ძნელია იმის თქმა, რამდენად რეალურია ან არ არის რეალური მისი განცხადება. ალბათ პროკურატურას მისცემს ინფორმაციას.

– ბატონო მერაბ, რომელ პროკურატურაში ხართ დაბარებული?

– მე მთავარ პროკურატურაში ვარ დაბარებული. ზოგიერთი მოსამართლე აჭარის პროკურატურაშიც მიდის.

– ბათუმის პროკურატურასაც აქვს უფლება, დაკითხოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე?

– თუ კონკრეტული მოსამართლე ბათუმშია და თბილისში ვერ ჩამოდის, ასეთ შემთხვევაში შეიძლება ჩვენება ბათუმშიც ჩამოართვან.

– გიორგი პაპუაშვილმა ბათუმის პროკურატურაში გამოკითხვაზე უარი რომ თქვა?

– უარი, ალბათ, იმიტომ თქვა, სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ვარ და საქართველოს მთავარმა პროკურატურამ უნდა დამკითხოსო. არავითარი განსხვავება არ არის, სად დაგკითხავენ, აჭარის პროკურატურაში თუ საქართველოს მთავარ პროკურატურაში. თუ რაიმე ინფორმაციის მატარებელი ხარ, შეგიძლია მისცე ჩვენება. თუ გამოძიება მიმდინარეობს თბილისში, დოკუმენტებს გადმოაგზავნიან. ბათუმში მიცემული ჩვენება 5 წუთში შეიძლება თბილისში ჰქონდეთ.

– ბატონი პაპუაშვილი არ მიდის პროკურატურაში. ეს რას შეიძლება ნიშნავდეს?

– მან თქვა, ჯერ პრემიერს შევხვდები და მთავარ პროკურატურაში მერე მივალო. ალბათ, ასე გააკეთებს, ჯერ შეხვდება პრემიერს, ხოლო შემდეგ მივა პროკურატურაში. ნებისმიერმა მოსამართლემ, თუ რაიმე ინფორმაცია აქვს, უნდა ითანამშრომლოს გამოძიებასთან, ინფორმაცია არ უნდა დამალოს.

– თუ გიორგი პაპუაშვილი პრემიერთან შეხვედრის შემდეგაც არ მივა პროკურატურაში, მაშინ რა შეიძლება ითქვას?

– არაფერი. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესა და მოსამართლეებს იცავს იმუნიტეტი, გარკვეული ხელშეუხებლობის ხარისხი არის, მაგრამ პაპუაშვილის ინტერესებშია, თუ რაიმე გამოსარკვევია, მისცეს ინფორმაცია და საგამოძიებო ორგანომ გამოარკვიოს. პაპუაშვილი რატომ არ უნდა მივიდეს პროკურატურაში? ვფიქრობ, გიორგი პაპუაშვილი უნდა მივიდეს საგამოძიებო ორგანოში. ალბათ, პრემიერთან შეხვედრის შემდეგ მივა.

– პრეზიდენტმა განაცხადა, რომ უმაღლესი თანამდებობის პირები არ არიან ამ პროცესში ჩართული. შეიძლება გარკვეულ სახელმწიფო სტრუქტურებში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ახდენდნენ ზეწოლებს და დაინტერესებული იყვნენ მსგავსი ფაქტების განხორციელებით?

– წარმოდგენა არ მაქვს, ვინაიდან არაფერი ვიცი იმის შესახებ, არსებობს თუ არა ზეწოლის ფაქტი, ან თუ არსებობს, რა ფაქტია. ჩემთვის შეუძლებელია იმის თქმა, სახელმწიფო სტრუქტურებში სად რა ხდება. ჯერ ფაქტი უნდა დადგინდეს და მერე შეიძლება სტრუქტურებზე ვისაუბროთ. თუ ფაქტი არ არსებობს, მაშინ სტრუქტურებზე საუბარი ზედმეტია.

სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სახელწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის მოთხოვნის და აღების ფაქტზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე დავით მეყანწიშვილი დაიკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დავით მეყანწიშვილმა უცხოელ ბიზნესმენს ქ. თბილისში 8.271 კვ.მ მიწის ნაკვეთის აუქციონზე გატანის პროცედურების დაჩქარებისა და შემდგომში შესაბამისი ნებართვების დროულად მიღებაში დახმარების სანაცვლოდ მოსთხოვა 50.000 ლარი, საიდანაც წინასწარ მოითხოვა 10.000 ლარის გადაცემა.

2016 წლის 22 ივლისს დავით მეყანწიშვილმა უცხოელ ბიზნესმენს გამოართვა წინასწარ მოთხოვნილი თანხის ნაწილი 5.000 ლარი, ხოლო 2016 წლის 25 ივლისს გამოართვა თანხის მეორე ნაწილი – 5.000 ლარი, რა დროსაც ის დააკავეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით 11-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ხაჯიმბამ მთავრობა გადააყენა

შორენა მარსაგიშვილი

აფხაზეთში კვლავ დაძაბული სიტუაციაა. რეფერენდუმზე განცდილი მარცხის მიუხედავად, ოპოზიცია დანებებას არ აპირებს. მარცხის აღიარება არ სურს რაულ ხაჯიმბასაც, რომელმაც მთელი მთავრობა სახლში გაუშვა.

მთავრობის უნდობლობის საკითხზე აფხაზთა პარლამენტს გუშინ, 27 ივლისს, უნდა ემსჯელა.

საკანონმდებლო ორგანოში კარგა ხნის მანძილზე ცდილობდნენ პრემიერის ნდობის ვოტუმის საკითხი დაეყენებინათ. საკითხის განხილვა რამდენჯერმე გადაიდო. აფხაზი დეპუტატები შეთანხმდნენ, რომ 25 ივლისს ამ თემაზე აუცილებლად დაიწყებდნენ მსჯელობას.

არც ამჯერად გამოუვიდათ, დეპუტატებს რესპუბლიკის მეთაურმა რაულ ხაჯიმბამ სთხოვა, საკითხის განხილვა 27 ივლისამდე გადაედოთ. თუმცა ამის გაკეთება ვერც გუშინ მოხერხდა. ერთი დღით ადრე პრემიერმა არტურ მიქვაბიამ თანამდებობა დატოვა. პრემიერის მოვალეობის შემსრულებლად ხაჯიმბამ ვიცე-პრემიერი შამილ აძინბა დანიშნა.

როგორც აფხაზური მედია წერს, ამით ხაჯიმბამ ოპოზიციას დაასწრო, რომელმაც თავის მხრივ საერთო-ეროვნული ყრილობის ჩატარებისთვის დაიწყო სამზადისი.

ოპოზიციამ არტურ მიქვაბიას წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარე წლის თებერვალში დაიწყო. პრემიერის პოსტზე მიქვაბია 2015 წლის 20 მარტს დაინიშნა.

მისთვის უნდობლობის გამოცხადების ინიციატივით დეპუტატი ალმას ჯაპუა გამოვიდა. ის დღეს უკვე აღარ არის პარლამენტის წევრი. მან დეპუტატის მანდატი რამდენიმე თვის წინ დატოვა. მანდატის დატოვებამდე კი სოხუმში მისი მანქანა ააფეთქეს.

საქმე დღემდე არაა გამოძიებული. ჯაპუა მიიჩნევს, რომ ეს მის დასაშინებლად გააკეთეს. ის დეპუტატებთან ერთად აფხაზეთში უცხოელებზე უძრავი ქონების გასხვისების სასტიკი წინააღმდეგია.

არტურ მიქვაბიასთვის უნდობლობის გამოცხადება ჯაპუამ კონტროლის პალატის დასკვნის საფუძველზე მოითხოვა, რომლის თანახმად, კიდევ ერთხელ დაირღვა აფხაზეთის მოსახლეობის სრული პასპორტიზაციის ვადები.

სწორედ ამ ვადის დარღვევის გამო ჩაიშალა თვითმმართველობის არჩევნები გალის რაიონში. სხვა რაიონებმა თვითმმართველობები აპრილის თვეში აირჩიეს.

ჯაპუას მიქვაბიას მიმართ სხვა პრეტენზიებიც ჰქონდა. მისი თქმით, მთავრობა არაეფექტურად მუშაობდა და ვერც კორუფციას მოუხერხა რამე.

◆ ◆ ◆

აფხაზთა ექსპრემიერი დიდი ხნის მანძილზე რუსეთში ცხოვრობდა. მოსკოვში 1992 წელს წავიდა და 2004 წლამდე იქედან ფეხი არ მოუცვლია. წლების მანძილზე ის ნავთობკომპანია იუკოსის რეგიონალური მენეჯერი იყო.

პოლიტიკით 7 წლის წინ დაინტერესდა. 2009 წელს ის სახალხო კრების დეპუტატად აირჩიეს.

აფხაზური მედიის ცნობით, მიქვაბიას გარდა, მინისტრებიც გადადგნენ. ხაჯიმბა ახალ შემადგენლობას უახლოეს მომავალში დაასახელებს. სოხუმში იმედი აქვთ, რომ ამით რესპუბლიკაში არსებული დაძაბულობა განელდება.

რამდენიმე კვირის წინ აფხაზები სამოქალაქო ომის რეალური საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. ოპოზიციის ნაწილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს შტურმიც კი სცადა. ეს მინისტრის გადადგომით დასრულდა.

ზოგიერთი აფხაზი პოლიტიკოსი შიშობს, რომ პრემიერის გადადგომის შემდეგ შესაძლოა სიტუაცია კიდევ გამწვავდეს. ამ მოსაზრებას არ იზიარებენ ექსპერტები.

რუსი ექსპერტი მიხეილ ალექსანდროვი მიიჩნევს, რომ მიქვაბიას გადადგომა პოლიტიკურ პროცესებზე გავლენას არ მოახდენს.

– ეს გადადგომა არაფერზე იქონიებს გავლენას. აფხაზეთში პრემიერის თანამდებობა მნიშვნელოვანი არ არის. აქედან გამომდინარე, არაფერი შეიცვლება. ეს გადაწყვეტილება მხოლოდ იმიტომ იქნა მიღებული, რომ რესპუბლიკაში პოლიტიკური ვნებები ოდნავ მაინც ჩამცხრალიყო, – ამბობს ალექსანდროვი.

მის მოსაზრებებს იზიარებს ექსპერტი კავკასიისა და უსაფრთხოების საკითხებში ვადიმ მუხანოვი. მისი თქმით, მიქვაბიას გადადგომა სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური თამაში.

– პრემიერის გადადგომამდე თანამდებობა დატოვა შინაგან საქმეთა მინისტრმა. ამით ხელისუფლება ოპოზიციასთან ერთგვარ კომპრომისზე წავიდა. მათ არ სურთ, რომ დაძაბულობის გამო აფხაზეთში ტურისტული სეზონი ჩაიშალოს. პრემიერი არაა მთავარი ფიგურა რესპუბლიკაში, მის გადადგომას რაიმე პროცესები რომ მოჰყვეს. მის ადგილს სხვა დაიკავებს, რომელიც დავალებებს შეასრულებს. ხაჯიმბა ოპოზიციას ეთამაშება, – აღნიშნავს მუხანოვი.

მისი თქმით, მიქვაბია თანამდებობას რომ დატოვებდა, ეს ძნელი მისახვედრი არ იყო.

– მისი პრემიერობის დროს არანაირი სასიკეთო ცვლილება არ მომხდარა. მასთან დაკავშირებით ბევრი კითხვის ნიშანი არსებობდა. მას პრობლემები ჰქონდა ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებთანაც. სიტუაცია იძაბებოდა და ხაჯიმბა ვალდებული იყო, ეს შეეცვალა, – აცხადებს რუსი ექსპერტი.

სოხუმში უკვე დაიწყეს საუბარი სამთავრობო კრიზისზე, რასაც კატეგორიულად არ ეთანხმება ექსპერტი ვლადიმერ ლეპეხინი.

– აფხაზეთში არამცთუ სამთავრობო კრიზისი არ არის, არამედ ამის ნიშნები არც კი შეიმჩნევა. კრიზისი იმ შემთხვევაში იქნებოდა, პრეზიდენტის მიერ წარდგენილ მთავრობის დამტკიცებაზე პარლამენტს უარი რომ ეთქვა. ან ხალხი რომ გამოსულიყო ქუჩაში და მთავრობის მეთაურის შეცვლა გაეპროტესტებინა, – აღნიშნავს ლეპეხინი.

მისი თქმით, კრიზისის თემა ჟურნალისტებმა და პოლიტიკოსების ნაწილმა წამოსწია.

– როგორც ერთი საბჭოთა კლასიკოსი იტყოდა, კრიზისი არა ქვეყანაში, არამედ იმათ თავებშია, ვინც კრიზისზე საუბრობს, – აცხადებს ექსპერტი.

◆ ◆ ◆

პრემიერის ბედი გუშინ, 27 ივლისს, რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ალექსეი ლომიამაც გაიზიარა. მიქვაბიას მსგავსად, თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება მანაც საკუთარი ხელით დაწერა და პრეზიდენტს აახლა.

ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით, გენერალური პროკურორის გადაყენების გადაწყვეტილება პარლამენტმა უნდა მიიღოს. პარლამენტის სპიკერმა ვალერი ბღანბამ დეპუტატებს მოუწოდა, გაეთვალისწინებინათ ლომიას თხოვნა, რომელიც იხვეწებოდა, გადამაყენეთო.

დეპუტატებმა მისი თხოვნა დააკმაყოფილეს.

ლომიას ეს თანამდებობა 2014 წლის 7 ოქტომბრიდან ეკავა.

პრემიერისა არ იყოს, გენპროკურორის გადადგომასაც ოპოზიცია საკუთარ გამარჯვებად მიიჩნევს.

– ეს არ არის ოპოზიციის გამარჯვება, ეს მხოლოდ საკადრო ცვლილებაა, რაც ყველგან ხდება და ჩვეულებრივი ამბავია, – ამბობს ექსპერტი ლეპეხინი.

დაძაბული დღის ბოლოს ხაჯიმბამ საგანგებო ბრიფინგი გამართა და ერს აუწყა, მთელი მთავრობა სახლში გავუშვიო. გაშვებულებს ცოტა მიატირა კიდეც – ამ გუნდმა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის ბევრი რამე გააკეთაო.

რესპუბლიკის მეთაურისთვის გაუგებარია, რატომ თვლის ამას ოპოზიცია საკუთარ გამარჯვებად.

– მთავრობის გადაყენება ოპოზიციის მოთხოვნებთან კავშირში არ არის, – ამბობს ხაჯიმბა.

მისი თქმით, მინისტრები მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერის მოსვლამდე გააგრძელებენ. ვინ იქნება ახალი პრემიერი, ეს ჯერ არავინ, მათ შორის, არც ხაჯიმბამ იცის.

მისი თქმით, მომავალი პრემიერი პარლამენტმა რესპუბლიკის მეთაურის წარდგენით უნდა დაამტკიცოს.

– ის დრო დგება, რომელზეც ამდენი ხანია ვსაუბრობთ – აუცილებელია სახელისუფლებო შტოებს შორის ბალანსის დაცვა, – ამბობს რესპუბლიკის მეთაური.

„როდესაც მინდია გოგოჭურმა ადვოკატი მოითხოვა, პოლიციელებმა უთხრეს, თავი ევროპაში ხომ არ გგონიაო“

პრეზიდენტის სიძემ პროკურატურა უკომენტაროდ დატოვა

გუშინ, 27 ივლისს, მასზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტთან დაკავშირებით, პროკურატურაში გამოკითხვაზე პრეზიდენტის სიძე მინდია გოგოჭური იმყოფებოდა.

საღამოს მან საგამოძიებო უწყება უკომენტაროდ დატოვა. ჟურნალისტებთან კომენტარი მისმა ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა გააკეთა.

გოგოჭურის უფლებადამცველის თქმით, გასულ თვეს მომხდარი შემთხვევის დროს სამართალდამცავებმა უფლებამოსილებას გადააჭარბეს.

გოგოჭურის დაკავების დროს მას დაახლოებით 6 საათით შეუზღუდეს პოლიციელებმა გადაადგილების თავისუფლება, დაკავება განხორციელდა უხეში დარღვევებით, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ მისი დაკავება გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა.

ბარათაშვილის თქმით, პოლიციელებისთვის კარგად იყო ცნობილი მინდია გოგოჭურის ვინაობა და მისი კავშირი პრეზიდენტთან:

– მათ იცოდნენ პრეზიდენტთან მინდია გოგოჭურის ნათესაური კავშირი და ეს არც დაუმალავთ. ბუნებრივია, ასეთი უხეში დარღვევები რაღაც მიზნით უნდა ყოფილიყო განხორციელებული.

პოლიციელებს ჰქონდათ საკმაოდ აგდებული დამოკიდებულება და ხდებოდა კანონის უგულვებელყოფა. როდესაც გოგოჭურმა მოითხოვა ადვოკატი, პოლიციელებმა უთხრეს: თავი ევროპაში ხომ არ გგონიაო და ა.შ., – განაცხადა ბარათაშვილმა.

საქმეზე გამოძიება სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით მიმდინარეობს.

რამდენიმე დღის წინ, პრეზიდენტის მიერ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე ცნობილი გახდა, რომ ერთი თვის წინ მინდია გოგოჭურის სახლში ჩხრეკა ჩატარდა.

კახიშვილი კალაძის წინააღმდეგ?

სასჯელაღსრულების მინისტრი კორცხელის ინციდენტის გამოძიებას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

მაისის თვეში კორცხელში მომხდარი ინციდენტი კვლავ დიდი ვნებათაღელვის მიზეზია. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტში მონაწილე რამდენიმე პირზე საქმე აღიძრა, არც არასამთავრობოები და არც დაზარალებულად გამოცხადებული ნაციონალები არ არიან კმაყოფილები.

უკმაყოფილოთა არმიას პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც შეუერთდა. ის ინციდენტს ინციდენტის დღიდან გმობს, ბოლო ხანებში კი ამ თემაზე განსაკუთრებით მწვავე განცხადებები გააკეთა. კერძოდ, დაინტერესდა, რა აკავშირებს მომხდართან ვიცე-პრემიერს.

ამაზე კალაძე გაცხარდა და პრეზიდენტს სულ ჭორიკანა ეძახა. არადა პრეზიდენტზე ადრე ეს ინციდენტი როდესაც სასტიკად დაგმო ბიძინა ივანიშვილმა, კალაძეს მისი მისამართით აუგი არ დასცდენია.

ამ დღეებში გააქტიურებულ კორცხელის თემაზე მთავრობის წევრები კომენტარის გაკეთებას ერიდებიან და ძირითადად მხოლოდ მომხდარის გმობით შემოიფარგლებიან. თავისი პოზიცია ყველაზე მკაფიოდ სასჯელაღსრულების მინისტრმა კახა კახიშვილმა დააფიქსირა.

კახიშვილის თქმით, კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებით დაწყებულია სისხლის სამართლის გამოძიება და რამდენიმე პირი მიცემულია პასუხისგებაში.

– მე არ ვიცი საქმის მასალების დეტალები, ამ გამოძიების ფარგლებში ყველაფერი გაირკვევა. იყო ასევე გადარიცხვებთან დაკავშირებით ინფორმაცია და ამ საკითხთან დაკავშირებითაც მუშაობს პროკურატურა. მე არ ვთვლი, რომ პრეზიდენტი ჭორაობს. არ ვიცი, რის საფუძველზე გააკეთა პრეზიდენტმა ეს განცხადება, თუმცა ასეთი ტიპის განცხადებები არის წინაპირობა, რომ გამოძიება დაიწყოს, – განაცხადა კახიშვილმა.

საზოგადოების ერთმა ნაწილმა ეს კახიშვილის და კალაძის დაპირისპირების დასაწყისად აღიქვა. მოხდება თუ არა მათ შორის განხეთქილება, ამას მომავალი გვაჩვენებს. მანამდე კი ვიცე-პრემიერს, შესაძლოა, ქალებისთვის ბოდიშის მოხდა მოუწიოს.

კალაძემ რამდენიმე დღის წინ მარგველაშვილზე და გიორგი პაპუაშვილზე თქვა, მათი შეხვედრა ჭორიკანა ქალების საუბარს ჰგავდაო.

ამას ქალების შეურაცხყოფად მიიჩნევს „ქალთა მოძრაობის“ დამფუძნებელი ბაია პატარაია.

ის კალაძეს ურჩევს, ჭორიკანებზე საუბრისას საკუთარ პოლიტიკურ გუნდს გადახედოს.

– სამწუხაროა, როდესაც ვიცე-პრემიერი თავს ესხმის პრეზიდენტისა და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ინსტიტუტებს და ცდილობს მათ დაკნინებას, და მეორე, რაც ასევე შემაშფოთებელია, არის ის ფორმა, რომელიც მან შეარჩია ამის გასაკეთებლად. იმისთვის, რომ კალაძეს დაემცირებინა მარგველაშვილი და პაპუაშვილი, მათ უწოდა არა მხოლოდ ჭორიკნები, არამედ ისინი შეადარა ქალ ჭორიკნებს.

ბუნებრივია, ეს შეურაცხმყოფელია ქალების, მოსახლეობის და ამომრჩევლების უმეტესობისათვის და თუ კახი კალაძეს არ უნახავს ჭორიკანა კაცები, მაშინ საკუთარ პოლიტიკურ გუნდს გადახედოს. ჩვენ არაერთხელ გვახსოვს შემთხვევა, როდესაც პოლიტიკოსები „ქართული ოცნებიდან“ პირდაპირ ჭორაობდნენ სხვა ადამიანების პირად ცხოვრებაზე, – განაცხადა ბაია პატარაიამ.

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „საქართველოს უბლოკო სტატუსი გადაარჩენს“

გულიკო ბალაძე

გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი დიმიტრი ლორთქიფანიძე „ახალ თაობას“ უბლოკო სტატუსის შესახებ ესაუბრება.

– ბატონო დიმიტრი, ნატოზე უარი რომ ვთქვათ და უბლოკო სტატუსს დავთანხმდეთ, რაღაც გარანტიები ხომ უნდა გვქონდეს რუსეთისაგან?

– წინასწარ ვერანაირ გარანტიებზე ვერ ვისაუბრებთ და არც ვისაუბრებთ. ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ საკონსტიტუციო კანონის პროექტის მოქმედების გარანტიებზე.

– არც სიგნალი არის კრემლიდან?

– გარანტია იქნება, როდესაც ჩვენ საკონსტიტუციო ინიციატივით შევალთ პარლამენტის წინაშე, იქვე ჩავწერთ დაზღვევის ნორმებსაც. ეს ყველაფერი მას შემდეგ ამოქმედდება, როდესაც ჩვენ პირდაპირი პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან, რუსეთის ფედერაციასთან მივაღწევთ კონსენსუსს ჩვენი ქვეყნის უბლოკო სტატუსით განვითარების შესახებ ფინური მოდელის მაგალითზე.

ნინო ბურჯანაძის ვიზიტები მოსკოვში იყო მნიშვნელოვანი იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ გაგვაჩნია ხედვა და წარმოდგენა, თუ როგორ უნდა განვითარდეს ამ თემაზე დიალოგი უკვე უმაღლეს დონეზე მას შემდეგ, რაც ჩვენ ხელისუფლებაში მოვალთ.

– მხოლოდ იმის თქმა, რაზეც თქვენ საუბრობთ, საკმარისი არ არის. ქალბატონ ნინოს მოსკოვში ვიზიტებისას არ უთხრეს, თუ საქართველო უბლოკო სტატუს დათანხმდება, რაზე არიან წამსვლელები?

– საქმეც ისაა, ჩვენ რომ გვაქვს ეს ხედვები და ეს ინფორმაციები, ამიტომაც შემოვდივართ ძალიან ეროვნული პროექტით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს განვითარება ფინური მოდელით. ამაზე მეტი, კონკრეტული, რა უნდა გითხრათ.

– მე მაინტერესებს, მხოლოდ თქვენს ხედვებსა და კეთილ სურვილებზეა დამოკიდებული ეს თქვენი იდეები თუ კრემლიდანაც გადმოიდგა შემხვედრი ნაბიჯები?

– რა თქმა უნდა, რომ არ ყოფილიყო იმგვარი საერთო სურათი, რომ ვიზიტების შედეგად არ გამოგვეტანა დასკვნები, უბლოკო სტატუსის აუცილებლობის შესახებ არ ვისაუბრებდით. საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის მომავალი თანამშრომლობისა და ურთიერთობის პერსპექტივა არსებობს. ჯერ კიდევ დარჩენილია სივრცე იმისა, განისაზღვროს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პოლიტიკური ფასი. ამიტომ ჩვენ ამ ნაბიჯზე წავალთ.

– 200-წლიანი პერიოდის განმავლობაში რუსეთთან ურთიერთობის აწყობა ვერ მოვახერხეთ. რუსები ყოველთვის ტეხდნენ სიტყვას ტოტლებენ-

ნიდან და ტრაქტატიდან დაწყებული, ბოლო პერიოდის ჩათვლით. აქედან გამომდინარე, ძნელია, ქართველობა და პოლიტიკური სპექტრი შეატრიალო რუსეთისაკენ.

– თქვენ ძალიან ზედაპირულად მსჯელობთ. 1876-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომი რომ არა, აჭარა საქართველოს შემადგენლობაში არ იქნებოდა და თქვენ დაიბადებოდით თურქეთის რესპუბლიკაში.

– არ გეთანხმებით.

– უნდა დამეთანხმოთ. 1876-78 წლების ომმა საბოლოოდ გადაწყვიტა აჭარის დარჩენა საქართველოს შემადგენლობაში.

– თურქეთის რესპუბლიკაში ძალიან ბევრი ქართველი დაიბადა. რუსეთის მხრიდან 1921 წელს განხორციელებულმა ოკუპაციამ და ანექსიამ საქართველოს თავისი ტერიტორიის დიდი ნაწილი დააკარგვინა – ტაოკლარჯეთი, შავშეთი, ლაზეთი, ლორე, სოჭი, საინგილო. მე ისიც ძალიან მტკივა.

– ტაო-კლარჯეთში ძალიან ბევრი ქართველო დარჩა, ჩვენ ტერიტორიები დავკარგეთ და თურქეთმა თავისი ექსპანსიით, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვანი ტერიტორიები წაგვართვა. ეს დღევანდელ ხელისუფლებასაც ხშირად უნდა შევახსენოთ.

– ეს ხომ რუსეთის მიერ საქართველო ოკუპაციისა და ანექსიის შედეგია?

– მე ვსაუბრობ იმაზე, რაც თურქეთის ტერიტორიაზე დარჩა. რუსეთის ღალატზე რომ მისვამთ კითხვებს, უღალატა თუ არა ინგლისმა საქართველოს? როდესაც რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია და ანექსია მოხდა, როგორ გადანაწილდა ის საზღვრები, რაშიც ინგლისმა განსაკუთრებული როლი ითამაშა. რის გამოც ლორე, ტაშირი და ყუჩაბი დარჩა სომხეთის მხარეს. როგორ მოხდა ეს?

ბოლშევიკური რევოლუცია ინსპირირებული იყო დასავლეთიდან, რამაც გამოიწვია რუსული მონარქიის დაცემა-განადგურება. საბოლოოდ, ბოლშევიკურმა ჩექმამ გადაუარა საქართველოს.

მთავარია, ჩვენც იგივე ბედი არ გავიზიაროთ, რაც გაიზიარა უკრაინამ, რომელმაც 2010 წელს უბლოკო სტატუსი გამოაცხადა. უბლოკო სტატუსი რომ დარჩენილიყო მაიდნის პერიოდისთვის, უკრაინას უბედურება არ დაატყდებოდა თავს. უკრაინის ახალმა ხელისუფლებამ უბლოკო სტატუსზე უარი თქვა და განაცხადა, ნატოში უნდა შეხვიდეთო და რუსებმა წაიღეს ყირიმი.

– ეს მუქარაა?

– არ არის მუქარა.

– ფაქტები არსებობს, რომელთა გამოც რუსეთი ნდობას არ იმსახურებს.

– როდესაც არაფერი გაკეთებულა რუსულ-ქართული ურთიერთობის გაუმჯობესებისთვის, ხვალ-ზეგ ნდობა კიდევ უფრო დაბალი იქნება და ყირიმის ბედს გავიზიარებთ. პროცესი დაიკეტება და ვეღარავინ უშველის. დღეს ჩვენ შანსი გვაქვს, საქართველო გამოვიყვანოთ ჩიხიდან.

– ეგ მოსახლეობასა და ამომრჩეველს უნდა დააჯეროთ, რადგან რუსეთისადმი ნდობის ვოტუმი ძალიან დაბალია.

– ამ საკითხზე ჩვენ გარდა არავინ მსჯელობს. ყველა მართალია, ვინც მედასავლეთეა? ჩვენ გარდა ყველა პარტიისთვის მზე დასავლეთიდან ამოდის. ანტიდისკრიმინაციულმა კანონმა სწორედ ეს გამოავლინა. ვინც ანტიდისკრიმინაციულ კანონს ხმა მისცა, ყველა მედასავლეთეა.

გიორგი გუგავა: „ქოცებმა საქართველო ცირკად გადააქციეს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ შეარჩია ივანიშვილმა მაჟორიტარობის კანდიდატად მილიონერები, რატომ აღარ ითვლება საქართველო სახელმწიფოდ, ეკრძალებათ თუ არა საჯარო მოხელეებს ალკოჰოლის მიღება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა ესაუბრება.

„ივანიშვილმა საქართველოდან მილიარდი დოლარის გადაუმუშავებელი ოქრო გაიტანა“

ბატონო კახა და ქალბატონო მანანა, ახლა გახდა ლოთი და ჭორიკანა მარგველაშვილი? თქვენ არ დასდევდით ქუჩა-ქუჩა და შარა-შარა მაგ კაცს? თქვენი ლიდერი ბიძინა ივანიშვილი არ ემუქრებოდა ქვეყანას, თუ მარგველაშვილი პირველივე ტურში არ გაიმარჯვებს, პოლიტიკიდან საერთოდ წავალო? მაშინ არ სვამდა მარგველაშვილი? თუ სვამდა და ლოთი შემოგვაპარეთ, ეს ერთი უბედურებაა, ხოლო თუ არ სვამდა და გაპრეზიდენტების შემდეგ გაალოთეთ, ეს მეორე

გიორგი გუგავა:

– ის პროცესები, რაც დღეს საქართველოში მიმდინარეობს, სხვაგან რომ ხდებოდეს, მაგარი კომედია იქნებოდა, მაგრამ ვაი და ვუი, რომ ეს ჩვენს ქვეყანაში ხდება. ქოცების წყალობით, საქართველო სახელმწიფო აღარ არის, ის ცირკად და შაპიტოდ გადააქციეს.

დედამიწის ზურგზე არ მეგულება არც ერთი სახელმწიფო, სადაც უმაღლესი მთავარსარდალი გამოვა და იტყვის, ხელისუფლების წარმომადგენლები ჩემზე ზეწოლას ახორციელებენო. იგივე შემიძლია ვთქვა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეზეც. აქ ერთიც და მეორეც ზეწოლაზე ჩივის. აქედან გამომდინარე, საქართველო სახელმწიფო აღარ არის, ეს არის შაპიტო.

საქართველო რომ ცირკია, ამას ბეჭედი პარლამენტის ვიცე-სპიკერმა დაუსვა. მანანა კობახიძე, იმის მაგივრად, რომ პრეზიდენტის განცხადებაზე გამოძიების დაწყება მოეთხოვა, გამოვიდა და თქვა, მარგველაშვილი ლოთიაო. ან ვიცე-პრემიერის განცხადება რას ჰგავს, როცა ის პრეზიდენტის განცხადებას ჭორიკანა ქალის საუბრად აფასებს.

ბატონო კახა და ქალბატონო მანანა, ახლა გახდა ლოთი და ჭორიკანა მარგველაშვილი? თქვენ არ დასდევდით ქუჩა-ქუჩა და შარა-შარა მაგ კაცს? თქვენი ლიდერი ბიძინა ივანიშვილი არ ემუქრებოდა ქვეყანას, თუ მარგველაშვილი პირველივე ტურში არ გაიმარჯვებს პოლიტიკიდან საერთოდ წავალო? მაშინ არ სვამდა მარგველაშვილი? თუ სვამდა და ლოთი შემოგვაპარეთ, ეს ერთი უბედურებაა, ხოლო თუ არ სვამდა და გაპრეზიდენტების შემდეგ გაალოთეთ, ეს მეორე.

– თქვენ გჯერათ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები უმაღლეს მთავარსარდალზე ზეწოლას ახორციელებდნენ?

– ეს რომ ქვეყანა ყოფილიყო, არ დავიჯერებდი, მაგრამ საქართველო ცირკი და შაპიტოა. უფრო უარესს გეტყვით – ის არის ბიძინა ივანიშვილის საკუთრებაში. ის საქართველოს შპს-დ და სახანოდ აღიქვამს.

ივანიშვილი განკარგავს დღეს ყველაფერს. ივანიშვილს პრეზიდენტთან პირადი პრეტენზიები აქვს და აქედან გამომდინარე რეალურია, რომ მისი დავალებით ხორციელდებოდეს ზეწოლა.

ნებისმიერ ნორმალურ სახელმწიფოში ამაზე დიდი ამბები ატყდებოდა. ჩვენთან კი პასუხად მოვისმინეთ, რომ პრეზიდენტი ლოთია და ეს განცხადება მხოლოდ იმიტომ გააკეთა, რომ ალკოჰოლური სასმელი ჰქონდა მიღებული.

– რატომ გამახვილდა სასმელზე ასეთი ყურადღება, ეკრძალება პრეზიდენტს ალკოჰოლის მიღება?

– სამუშაო საათებში არავის აქვს უფლება, მიიღოს ალკოჰოლი. არასამუშაო საათებში რატომ არ უნდა დალიოს თუ უნდა. ხომ გაგიგიათ, მთვრალი კაცი, კაი კაციო.

ამაზე ყურადღება იმიტომ გაამახვილეს, რომ საკუთარი ცოდვები გადაეფარათ. ესენი ცოტა ხანს კიდევ თუ დარჩნენ, ისიც ჩამოგვეშლება, რაც სახელმწიფოსგან დატოვეს. ამიტომაც არის საქართველოსთვის 8 ოქტომბრის არჩევნები გადამწყვეტი. ბიძოყაენი და მისი ურდო ყველანაირად შეეცდება, გააყალბოს არჩევნები. ამას მთელი საზოგადოება უნდა დაუპირისპირდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში კიდევ 4 წელი მოგვიწევს სახანოში ცხოვრება.

აქაურობა რომ სახანოდ იქცა, ამაზე ქართველი ოლიმპიელების ჩაცმულობაც მეტყველებს. ისეთი ტანსაცმელი ჩაცვეს, კაცი იფიქრებდა, ოლიმპიადაზე კი არა, რომელიმე ყაენთან მიდიანო. ერთი ყაენი აქ ზის. არ გამიკვირდება, ხვალ მას ასეთ ფორმებში გამოწყობილი მეოცნებეები ეახლონ.

მაჟორიტარებადაც ისეთი ხალხი შეარჩია, სახანოს რომ ეკადრება. ფულით გაქსუებული გოდერძი ბუკია დენიკინის დროიდან არის მაჟორიტარი. იგივე ითქმის კახა ოქრიაშვილზეც. ერთიც და მეორეც ნაციონალების კარის მაჟორიტარები იყვნენ, ახლა ივანიშვილთან გადავიდნენ.

იგივე შემიძლია გითხრათ ელგუჯა გოცირიძეზეც, რომელიც თავის დროზე ნაციონალებთან დაახლოებული პირი იყო, ახლა „ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატია.

ივანიშვილმა შეგნებულად შეარჩია მილიონერი კანდიდატები, რომ მათ თავიანთი ფულებით მოიგონ არჩევნები. შემდეგ კი მიუშვებს და ისინიც ამოიღებენ იმ ფულს, რაც დახარჯეს. საქართველო ამათთვის არის საძოვარი. ამათი პარპაში სასწრაფოდ უნდა დასრულდეს, თორემ კულტურულ მემკვიდრეობას და მთელ ისტორიას დაგვამხობენ თავზე და არც მიწაში დატოვებენ რაიმე წიაღისეულს.

– საყდრისის აფეთქებაზე საუბრობთ?

– საყდრისზე ვსაუბრობ სწორედ. ივანიშვილმა თავის ბიზნეს პარტნიორ ტროიცკისთან ერთად, 2013 წლიდან დღემდე ქვეყნიდან გაიტანა მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების გადაუმუშავებელი ოქროსა და სპილენძის მადანი. საყდრისი-ყაჩაღიანის აფეთქების შემდეგ კი ოქროს მოპოვება და გატანა გაორმაგდა. ოლიგარქმა აღნიშნული თანხები გადაიტანა პანამის ოფშორულ ზონაში, ხოლო საქართველოს ბიუჯეტში თეთრიც არ შესულა.

8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ლეიბორისტული პარტია შექმნის სპეციალურ საგამოძიებო კომისიას, რომელიც გამოიძიებს ისტორიულ-კულტურული ძეგლის აფეთქებასა და სახელმწიფო ქონების მითვისების კრიმინალურ ფაქტებს. საქართველოს ბიუჯეტს უკან დავუბრუნებთ მოპარულ და გატანილ თანხებს უკანასკნელ თეთრამდე.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

სტივენ ბლენკი: „თურქეთის ჯარი დასუსტდა და რუსეთი ამით სარგებლობს“

„ამერიკის ხმის“ ქართულმა რედაქციამ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „თურქეთის ჯარი დასუსტდა და რუსეთი ამით სარგებლობს“.

სტატიაში აღნიშნულია, რომ თურქეთში მიმდინარე მოვლენები აჩენს კითხვას, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ანკარის ურთიერთობა რუსეთთან, კავკასიასთან და ნატოსთან.

ეს განსაკუთრებით აქტუალურია იმ ფონზე, რომ ქვეყნის ჯარი შესაძლოა დასუსტებულიყო ცოტა ხნის წინ მომხდარი გადატრიალების მცდელობის შემდეგ.

„ამერიკის ხმა“ ვაშინგტონში ექსპერტებს ესაუბრა, თუ რას შეიძლება ველოდოთ აგვისტოში რუსეთ-თურქეთის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ.

ფლანეგენი ამობობს, რომ ახლო მომავალში თურქეთსა და ნატოს შორის ურთიერთობების შეცვლის პერსპექტივას ვერ ხედავს.

– ნატოს სურს, რომ თურქეთი ალიანსის სრულფასოვანი წევრი იყოს არა მხოლოდ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ სხვა საერთაშორისო მისიებშიც, – განაცხადა ფლანეგენმა.

ექსპერტს მიაჩნია, რომ ნატო გააგრძელებს თურქეთის მხარდაჭერას.

– არავინ საუბრობს იმაზე, რომ თურქეთი

რამენაირად დაისაჯოს მიმდინარე მოვლენების გამო. დღეისთვის ინჯირლიკის სამხედრო ბაზაც სრულ სამუშაო რეჟიმშია და იქიდან ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ოპერაციები გრძელდება, – აღნიშნა სტივენ ფლანეგენმა.

მისი თქმით, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ამერიკასა და თურქეთს შორის ურთიერთოება უცვლელი რჩება.

განსხვავებული მდგომარეობაა რუსეთთან დაკავშირებით.

პრეზიდენტ ერდოღანსა და პრეზიდენტ პუტინს საკმაოდ ახლო ურთიერთობა აქვთ.

თუმცა, გასული წლის ნოემბერში, თურქეთის საჰაერო ძალებმა რუსული სამხედრო თვითმფრინავი ჩამოაგდო, პუტინმა ამ მოქმედებას „ზურგში მახვილის ჩაცემა“ უწოდა. მას შემდეგ, ანკარასა და მოსკოვს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვნად დაიძაბა.

ერდოღანმა რუსეთისთვის ბოდიშის მოხდაზე მაშინ უარი თქვა. თუმცა, რამდენიმე კვირის წინ განცხადება გააკეთა, სადაც აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით მწუხარება გამოთქვა.

ფლანეგენის თქმით, ერდოღანი მოსკოვთან ურთიერთობის გამოსწორებას ეცდება.

– რუსეთსა და თურქეთს ამ ეტაპზე ერთმანეთი სჭირდებათ. რუსეთისთვის თურქეთი მნიშვნელოვანი ბაზარია ენერგორესურსების თვალსაზრისით, თურქეთს კი ეს ენერგორესურსები სჭირდება, – განაცხადა ექსპერტმა.

დიდ პრობლემად რჩება სირიასთან დაკავშირებული განსხვავებები.

– რუსეთის პოლიტიკა სირიაში პირდაპირ ეწინააღმდეგება თურქეთის პოზიციას. ამიტომ, აგვისტოს შეხვედრაზე საუბარი, სავარაუდოდ, ძირითადად ეკონომიკაზე იქნება, – აღნიშნა ფლანეგენმა.

„ამერიკის საგარეო პოლიტიკის საბჭოს“ მკვლევარის, სტივენ ბლენკის განცხადებით, პუტინი ერდოღანის ფანტაზიას თურქეთის რეგიონულ ენერგოცენტრად გადაქცევასთან დაკავშირებით ხელს გარკვეულ ეტაპამდე შეუწყობს.

კრემლი ამას ანკარასთან ურთიერთობის დასათბობად გააკეთებს, თუმცა საკუთარ ინტერესებს ყოველთვის წინა პლანზე დააყენებს.

ბლენკს მიაჩნია, რომ მარცხით დამთავრებული სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ ერდოღანის მიერ სამხედრო მაღალჩინოსნების დაპატიმრებამ თურქეთის ჯარი მორალურად დათრგუნა და მნიშვნელოვნად დაასუსტა.

რუსეთი ამით ისარგებლებს და შავი ზღვის აუზში პოზიციებს გაიმაგრებს.

– რუსეთის სამხედრო შესაძლებლობები არ გაზრდილა, თუმცა თურქეთისა შემცირდა. თუ რუსეთმა შავი ზღვის აუზში პოზიციების გამყარება სცადა ან ბალკანეთს, უკრაინასა და კავკასიას რაიმე სახით დაემუქრა, ნატოს შეკავების ნაკლები მექანიზმი ექნება, – განაცხადა ბლენკმა.

ექსპერტის თქმით, მონროს ხელშეკრულების თანახმად, თურქეთი შავ ზღვაში მშვიდობის დროს სამხრეთიდან სამხედრო გემების შესვლას აკონტროლებს.

ბლენკს მიაჩნია, რომ თუ თურქეთი ეკონომიკურად რუსეთისკენ გადაიხარა და ჯარში არსებული სისუსტეები ვერ დაძლია, არ არის გამორიცხული, შავ ზღვაში უფრო მეტი რუსული გემი შევიდეს. ამის შემდეგ, ნატო შავი ზღვის აკვატორიაში საკუთარი პოზიციის დაცვას ვეღარ შეძლებს.

ბლენკის ინფორმაციით, აგვისტოში დაგეგმილ შეხვედრაზე პუტინი ერდოღანს ეკონომიკურად მომხიბლავ პირობებს შესთავაზებს. ამაში შეიძლება შედიოდეს სამხრეთის ნაკადის შესახებ მოლაპარაკების განახლება, ან თურქეთის ნაკადის მხარდაჭერა.

ექსპერტს მიაჩნია, რომ ანკარის მოსკოვთან დაახლოება კავკასიაში თურქეთის გავლენას შეამცირებს.

– რუსები მთიანი ყარაბაღის სამშვიდობო გეგმას ამუშავებენ, რომლის დეტალებიც ამ დროისთვის უცნობია.

ანკარამ შესაძლოა მოსკოვს ამ გეგმაში მხარი დაუჭიროს. თურქეთის დასუსტება და რუსეთისკენ გადახრა არც საქართველოს აწყობს.

დასუსტებული თურქეთი საქართველოს მხარდაჭერასაც შეამცირებს. ეს კი თბილისს არც ეკონომიკურად აწყობს და არც პოლიტიკურად, – აღნიშნა ბლენკმა.

„ამერიკის ხმის“ ინფორმაციით, რუსეთსა და თურქეთს შორის ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების გაღრმავება ამ ეტაპზე შესაძლოა ყველაზე მეტად რუსეთს აწყობდეს. საერთაშორისო ეკონომიკური სანქციებისა და პოლიტიკური იზოლირების ფონზე, რუსეთს გავლენიანი მოკავშირეები სჭირდება.

თურქეთი ერთ-ერთი ასეთი ქვეყანაა. შეცვლის თუ არა ეს დინამიკა თურქეთის ურთიერთობას დასავლეთთან, განსაკუთრებით ნატოსთან და ამერიკასთან, მომავალი რამდენიმე თვის განმავლობაში გამოჩნდება.

ინტერპრესნიუსი

დედა-შვილის მკვლელობის ბრალდებით გიორგი ხ. დააკავეს

შსს-ს ცნობით, ფონიჭალაში მომხდარი მკვლელობა გახსნილია. დაკავებულია წარსულში ქურდობის, ყაჩაღობისა და განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ნასამართლევი, 1989 წელს დაბადებული გიორგი ხ.

22 თებერვალს, ქვემო ფონიჭალაში, 44 წლის ნონა რომანიძე საკუთარ სახლში ყელგამოჭრილი, მისი 3 წლის ქალიშვილი კი დამწვარი იპოვეს.

– ნონა რომანიძისა და მისი მცირეწლოვანი შვილის მკვლელი გარდაცვლილების სამძიმარსა და ქელეხში იყო მისული, – აცხადებენ მოკლულის ოჯახის წევრები.

როგორც გარდაცვლილის დამ, ხათუნა თხილაიშვილმა ინტერპრესნიუსთან საუბრისას განაცხადა, ბრალდებული ნონა რომანიძის მეუღლე ოთარ მამფორიასთან და მის ძმასთან მეგობრობდა და ოჯახშიც ხშირად მიდიოდა.

– ნონა უმამოდ გაიზარდა. 15 წლის განმავლობაში ის ჩემთან თბილისში ცხოვრობდა. მე ინფორმაცია მაქვს, რომ ბრალდებული ოთარის, მისი ძმის და ბიჭების მეგობარი იყო.

ბრალდებული გიორგი ამ უბანში ქირით ცხოვრობდა და შემდეგ სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად. ყველაზე ამაზრზენი კი ის არის, რომ გიორგი ქელეხშიც კი იყო მისული, ჭიშკართან იდგა სამძიმარზე. ამ საზარელი ფაქტის შემდეგ გიორგი ხშირად მოდიოდა ოჯახში და ოთარს ეუბნებოდა – გვერდში დაგიდგები, რომ მკვლელი გავიგოთ, ვინ იყოო, – აცხადებს ხათუნა თხილაიშვილი.

მოკლულების ოჯახის წევრები ყვებიან, რომ ბრალდებულმა ოჯახის ფინანსური მდგომარეობის შესახებ კარგად იცოდა, რაც გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაშიც აქვს ნათქვამი.

ნონა რომანიძის რძალი ნატო ჯიქიძე ყვება, თუ როგორ მოხდა ბრალდებულის მიერ რომანიძის და მისი შვილის მკვლელობა და რა მიზანი ამოძრავებდა ბრალდებულს.

– გუშინ გავიგეთ, რომ შსს-მ დაიკავა მკვლელი. გზაში აუყვანიათ. მიზეზს რაც შეეხება, როგორც ჩვენება აქვს მიცემული, მკვლელობა ფულის გამო ჩაიდინა. ის გასაქურდად შევიდა სახლში, თუმცა ფული ვერ იპოვა და მხოლოდ 30 ლარი წაუღია ოჯახიდან.

როგორც თვითონ ყვება, ორჯერ ჯერ მუშტი ჩაურტყამს თავში და როდესაც ნონა რომანიძე ვერ გათიშა, შემდეგ ვაზაც ჩაარტყა.

მინდა დიდი მადლობა ვუთხრა გამომძიებელს, რომელმაც ოპერატიულად იმუშავა და საქმე გამოიძია, – აცხადებს ნატო ჯიქიძე.

სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კონკურსს აცხადებს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით აცხადებს კონკურსს.

პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყება 2016 წლის 15 აგვისტოს 10:00 საათიდან და დასრულდება 22 აგვისტოს 18:00 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მისამართზე ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, ოთახი №114.

პრეტენდენტმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე;

ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ასლი;

გ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

დ) ავტობიოგრაფია (CV);

ე) კონცეფცია და სამოქმედო გეგმა;

ვ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;

ზ) ნასამართლობის შესახებ ცნობა;

თ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა.

პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) ფინანსური ან/და მატერიალური ან/და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში გამოცდილება;

გ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება;

დ) 65 წელზე ნაკლები ასაკის.

აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსანტების შეფასება განხორციელდება 2 ეტაპად:

ა) დოკუმენტური მონაცემების გაცნობა – არაუგვიანეს 2016 წლის 26 აგვისტოსი;

ბ) პრეტენდენტებთან გასაუბრება – არაუგვიანეს 2016 წლის 31 აგვისტოსი.

აკადემიური საბჭოს მიერ პრეტენდენტების შეფასების განხორციელებისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული ერთი კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვრა 2016 წლის 2 სექტემბერი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი

აცხადებს

ღია კონკურსს

აფეთქების ტექნოლოგიების განყოფილების მაღალტექნოლოგიური მასალების ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელის თანამდებობის დასაკავებლად

კ ო ნ კ უ რ ს ი ს პ ი რ ო ბ ე ბ ი

კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:

1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. ლაბორატორიის მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება;
3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან/და ატვირთონ PDF ფორმატში:

1. განცხადება (განცხადების ფორმა იხილეთ ვებ-გვერდზე www.mining.org.ge);
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV;
4. დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს.
7. ინფორმაცია სახელშეკრულებო (არასაბიუჯეტო) სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
8. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
9. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
10. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელფოსტა, მისამართი).

- საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტში მისამართზე: ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №7, ოთახი 216 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე tmi@mining.org.ge 2016 წლის 29 აგვისტოს 10 საათიდან 09 სექტემბრის 17 საათამდე.
- კონკურსი გაიმართება 14 სექტემბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი
დავით ხომერიკი
ტელეფონი: **593 390 319**
tmi@mining.org.ge (კონკურსები)

ერდოღანი ევროპას ლტოლვილებით ემუქრება

რას მოითხოვს ის საქართველოსგან?

სოსო ზაალიშვილი

მას შემდეგ, ჰაც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა მოხდა, თურქეთის ხელისუფლებამ ევროპისა და მსოფლიოს ლიდერების მიერ სულ სხვა კუთხით იქნა აღქმული. ათობით ათასი დაკავებული სამხედრო, დაპატიმრებული ოპოზიციონერები, დახურული საერო თუ სასულიერო სასწავლებლები, დაშლილი პრეზიდენტის გვარდია, ამ ქვეყანაში არსებული საერთაშორისო თუ ლოკალური ტერორიზმის პრობლემა არა მარტო თურქეთის, არამედ საერთაშორისო თავის ტკივილად გარდაიქმნა.

დაკავებები არა მარტო თურქეთის ტერიტორიაზე ხდება. არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, დუბაიში თურქეთის ხელისუფლების მოთხოვნით დააპატიმრეს ორი თურქი გენერალი. ერთი მათგანია ნატოს თურქული კონტინგენტის ხელმძღვანელი, გენერალ-მაიორი მეჰმედ კაჰიტ ბაკირი, ხოლო მეორე – ბრიგადის გენერალი სენერ ტოპურჯი.

რამდენად სანდო პარტნიორად შეიძლება ჩაითვალოს ნატოს წევრი ქვეყანა, რომლის ხელისუფლება ნატოს საბრძოლო ოპერაციის ხელმძღვანელს აპატიმრებს?

ნატო არა მარტო სამხედრო ბლოკი, არამედ დასავლურ ფასეულობებზე აგებული ერთობაა.

თურქეთში მომხდარმა მოვლენებმა თავად ნატოში არსებული დაპირისპირება წარმოაჩინა. პრობლემები მანამდეც იყო, თუმცა მათი განხილვა ნატოს ხელმძღვანელობის და წევრი ქვეყნების ლიდერებს შორის ხდებოდა. დღეს ეს საკითხი აღარაა ორგანიზაციის პრობლემა და ის საერთაშორისო ხარისხში ავიდა.

თურქეთი ნატოს 1952 წლის 18 თებერვალს შეუერთდა. ანკარის ეს ნაბიჯი განპირობებული იყო მისი ისტორიული არჩევანით, ეთანამშრომლა დასავლეთთან, რათა რეგიონის სხვა ქვეყნებში არ გავრცელებულიყო კომუნისტური იდეოლოგია. ამის დასადასტურებლად თურქეთმა თავისი სამხედრო კონტინგენტი კორეის ომშიც გააგზავნა ჩრდილოკორეული ძალების წინააღმდეგ.

ნატოში გაწევრიანებამ თურქეთს საშუალება მისცა, შავიზღვისპირეთში სტრატეგიულ საზღვაო მარშრუტებზე საკუთარი პოზიციები გაეძლიერებინა და რეგიონალური მასშტაბის სერიოზული მოთამაშე გამხდარიყო.

თურქეთის მოკავშირე გერმანია ჩრდილოატლანტიკურ ალიანს რამდენიმე წლის შემდეგ, 1955 წლის 6 მაისს, შეუერთდა. ბედის ირონია იმაში მდგომარეობს, რომ გერმანიის ნატოში გაწევრიანებას ამ ორგანიზაციის დამფუძნებლებსა და წევრებს შორის უფრო მეტი დაპირისპირება და კამათი მოჰყვა, ვიდრე თურქეთისას. გერმანიის ხელისუფლებას დიდი ძალისხმევა დაჭირდა იმისათვის, რომ ამ ქვეყნის ნატოში გაერთიანების დადებით ასპექტებში დაერწმუნებინა მომავალი პარტნიორები. გერმანული არმიის ნაწილები კი ნატოს ნაწილებათ 1957 წლიდან ითვლებიან.

* * *

მიგრაციული კრიზისის დაწყებიდან, როდესაც ევროპაში მრავალი დევნილი მოხვდა ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნიდან თურქეთის გავლით, თურქეთის და ნატოს წევრი ევროპის ქვეყნების ლიდერებს შორის არსებული დაძაბულობა კიდევ უფრო გამწვავდა.

ერდოღანი და მისი გუნდის წარმომადგენლები ღიად აკრიტიკებდნენ ევროკავშირის ლიდერებს თურქეთში დარჩენილი 2 მლნ-მდე დევნილის უყურადღებოდ მიტოვებაში. გაიმართა რამდენიმე მოლაპარაკება. თურქეთი 20 მილიარდამდე ევროს გამოყოფას ითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ევროპას დევნილების ევროპაში გაშვებით ემუქრებოდა.

ევროპის ლიდერები თურქეთისგან ტერორიზმთან ბრძოლის კანონმდებლიბის შეცვლას ითხოვდნენ. ისინი თვლიან, რომ ქურთული მოძრაობები არ შეიძლება თურქეთში ტერორისტული ორანიზაციების სიაში შედიოდნენ. ქურთები ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ მებრძოლი ერთ-ერთი ეფექტური სახმელეთო დანაყოფია. ისინი ამ ბრძოლაში ნატოს და ალიანსის სხვა ქვეყნების ბუნებრივი მოკავშირეები არიან.

თურქეთის ხელისუფლება ამ მოთხოვნას ეწინააღმდეგებოდა. მიუხედავად ამისა, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი დათმობებზე წავიდა და ევროკავშირი დათანხმდა თურქეთისთვის რამდენიმე მილიარდი ევროს გამოყოფას თურქეთში დევნილთა პირობების გასაუმჯობესებლად.

მოლაპარაკებები დახმარებაზე შეწყდა მას შემდეგ, რაც თურქეთში სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყო, თუმცა გუშინ, 27 ივლისს, პრეზიდენტმა ერდოღანმა კვლავ გაიმეორა რამდენიმე თვის წინ თურქეთის ევროპასთან ურთიერთობის მინისტრ ვოლკან ბოზკირის ნათქვამი, რომ თუ თურქეთი არ მიიღებს ფულად სახსრებს ევროკავშირისგან, დევნილები ევროპისკენ წავლენ.

გუშინვე ევროკომისიაში შიდა თათბირი გაიმართა, სადაც ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა ლტოლვილთა ბანაკების მოწყობის მიზნით თურქეთისთვის მილიარდების გამოყოფის შეჩერება მოითხოვა.

კომისიის პრეზიდენტმა ჟან-კლოდ იუნკერმა კი სხვა აზრი გამოთქვა. მან მხარი ფედერიკა მოგერინის წინადადებას დაუჭირა.

– იოჰანეს ჰანის მოთხოვნა თურქეთის პრეზიდენტის, ერდოღანის მიმართ სანქციების გატარებას ითვალისწინებდა, მის მიერ გადატრიალების მცდელობის შემდეგ გატარებული სადამსჯელო ღონისძიებების გამო, იუნკერი კი, რომელმაც ჰანის წინადადებები უარყო, თათბირზე მყოფი პირის ინფორმაციით, ამტკიცებდა, რომ ევროკავშირის მიერ თურქეთისთვის გამოსაყოფი ფული ლტოლვილებს უნდა მოხმარდეს, რისი ადმინისტრირებაც არასამთავრობოების მეშვეობით მოხდება და შესაბამისად, ამ ფულის დაბლოკვა ერდოღანისთვის რაიმე სანქციების მსგავს გავლენას ვერ იქონიებს, – წერს ეუროლაინ.გე..

2 მილიონამდე დევნილთათვის თურქეთში ბანაკები სხვადასხვა ტერიტორიაზეა განლაგებული.

ძირითადი ნაწილი თურქეთ-სირიის საზღვარზეა, რამდენიმე ათეულ ათასი დევნილისთვის ბანაკები საქართველოს სამხრეთ საზღვართანაცაა აგებული. თუ ევროპა არ დათანხმდება თურქეთის შანტაჟს, შესაძლოა, დევნილების ნაკადი მართლაც დაიძრას ევროპისკენ და მათი ნაწილი საქართველოშიც აღმოჩნდეს. მათ შორის კი სხვადასხვა ჯურის ტერორისტებიც შეიძლება იყვნენ.

* * *

ევროპისა და ნატოს ქვეყნები თურქეთის ამბოხმა და ერდოღანის შანტაჟმა სერიოზული დილემის წინაშე დაყენა.

ერთის მხრივ, მათ არ უნდა დაუშვან დევნილთა ახალი ნაკადი გაზრდილი ტერორისტული საფრთხის გამო. მეორეს მხრივ, არ უნდა შეუწყონ ხელი თურქეთში ახალი ტიპის ისლამური ავტორიტარული რეჟიმის ჩამოყალიბებას.

ბაშარ ალ-ასადის, სადამ ჰუსეინის, მუამარ კადაფისა და სხვა ავტორიტარების დასამხობად ტრილიარდობით დოლარი და მრავალი ათასი სიცოცხლე შეიწირა. ახლა კი თურქეთში ანალოგიური რეჟიმი ყველას თვალწინ ყალიბდება, მსოფლიო კი ამას ვერ ეწინააღმდეგება.

სადამ ჰუსეინი, ბაშარ ალ-ასადი, მუამარ კადაფი მსოფლიო საზოგადოებისაგან გარიყული იყვნენ, თურქეთი ევროპული და მსოფლიო უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია. ყველა ხვდება, რომ თურქეთისთვის გამოყოფილი ნებისმიერი ფულადი სახსრები პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ ბრძოლას და ერდოღანის ხელისუფლების გაძლიერებას მოხმარდება.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი ისაა, თუ რა მოთხოვნებს უყენებს თურქეთის ხელისუფლება საქართველოს და როგორ მოიქცევა ქვეყნის ხელისუფლება ასეთი ულტიმატუმის წაყენების შემთხვევაში.

გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ჯიჰადისტთა ნაწილი თურქეთში საქართველოს გავლითაცაა მოხვედრილი, შესაძლოა, თურქეთმა ამ გზის დაკეტვა, ან პირიქით თურქეთში მყოფი ჯიჰადისტების უკან დაბრუნება მოითხოვოს.

ჩვენი ქვეყნისათვის ასევე მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ერდოღანის ხელისუფლების ღია მხარდაჭერა, რადგან მას სერიოზული მოწინააღმდეგეები გააჩნია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე თურქეთის ფარგლებს გარეთ.

ერთია, როდესაც ერდოღანს თანადგომას დიდი და ძლიერი ქვეყნის წარმომადგენელი უწევს, რომელსაც მტკიცე პოზიცია გააჩნია საერთაშორისო არენაზე. საქართველოსაგან კი მსგავსი მხარდაჭერა სულ სხვანაირად შეიძლება იყოს აღქმული. ოპოზიცია საქართველოს ხელისუფლებას ავტორიტარული მმართველობის ჩამოყალიბებაში ადანაშაულებს და თურქეთის პრეზიდენტის მხარდაჭერა შესაძლოა ამ კუთხით იქნას დანახული. ეს კი ჩვენს ქვეყანას პრობლემები შეუქმნას საერთაშორისო არენაზე.

თურქეთი ის ქვეყანაა, რომელიც ლიბიაში მუამარ კადაფის ცვლილების შემდეგ ამ ქვეყნის არმიისა და პოლიციის რეფორმირებას ატარებდა. ლიბია დღესაც რჩება ალ-ქაედასა და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების მთავარ დასაყრდენად ჩრდილოეთ აფრიკაში. ასე რომ, ერდოღანს, მართლაც გააჩნია შესაძლებლობა, ევროპას სერიოზული უსაფრთხოების პრობლემები შეუქმნას.

საქართველოში ბუფერული, დემილიტარიზირებული ზონის შექმნის იდეა ასეთ დროს მეტად აქტუალური ხდება. ხელისუფლება ამ მიმართულებით გაცხოველებით უნდა მუშაობდეს. აუცილებელია მოინახოს ახალი ეკონომიკური პარტნიორები, რათა რუსეთისა და უკრაინის კრიზისების შემდეგ თურქეთში გადასული ქართული ბიზნესი ამ ქვეყანაში დაწყებულ არეულობას ადაპტირებული შეხვდეს.

თუ მსოფლიო თანამეგობრობამ ვერ შეძლო თურქეთის კრიზისის დროული მოგვარება, რეგიონში კიდევ ერთი აგრესიული, ავტორიტარული რეჟიმი ჩამოყალიბდება, რომელიც უდიდესი საფრთხეს მატარებელი იქნება არამარტო კავკასიის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც.

კიდევ ერთი აფეთქება გერმანიაში

სოსო ზაალიშვილი

გერმანიაში მიგრანტების მისაღებ პუნქტთან ბავარიის მხარის ქალაქ ცირნდორფში აფეთქება მოხდა. არავინ დაზარალებულა, თუმცა ჩემოდანი, რომელშიც კუსტარული ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო, ბანაკიდან არც თუ შორის იყო მოთავსებული.

თვითმხილველები რამდენიმე არაბული გარეგნობის პირის შესახებ საუბრობენ, რომლებიც იმ მხრიდან გარბოდნენ, სადაც აფეთქება მოხდა.

აფეთქების შემდეგ პოლიციამ ცირნდორფში სპეცოპერაცია დაიწყო.

ბოლო პერიოდში გერმანია ტერორისტული აქტების სერია განხორციელდა. სირიიდან დევნილის სტატუსის მოპოვების მსურველმა მუსიკალური ფესტივალის შესასვლელთან აიფეთქა თავი.

მოჰამედ დალელი, იბრძოდა სირიის, აგრეთვე ფილიპინებზე ტერიტორიაზე ალ-ქაედას რიგებში. ალ-ქაედას საინფორმაციო საშუალებების თანახმად, შაჰიდი რანდენიმე თვის განმავლობაში ამზადებდა ტერორისტულ შეტევას. ამ შეტევას ყველაზე მრავალრიცხოვანი მსხვერპი მოყვა.

ბერლინში მომხდარ ტერორისტულ შეტევასა და ავღანეთიდან დევნილის მიერ მატარებელში განხორციელებულ თავდასხმას გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის ოპონენტები მის მიერ დეკლარირებულ ლიბერალურ საემიგრაციო და დევნილებისთვის ღია კარის პოლიტიკას აბრალებენ.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბაგონი ქეთათო

ჰილარი კლინტონი პრეზიდენტობის კანდიდატი ოფიციალურად გახდა

ფილადელფიაში დემოკრატიული პარტიის ყრილობა მიმდინარეობს. როგორც მოსალოდნელი იყო, ჰილარი კლინტონი პრეზიდენტობის კანდიდატად ოფიციალურად დაასახელეს.

ყრილობაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ჰილარი კლინტონის აწ უკვე ყოფილი კონკურენტი ბარნი სანდერსი. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ვიკილიქსის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების შემდეგ აუცილებელია ერთიანობა.

– არავინ ისე მკაცრად არ აკრიტიკებდა ჰილარი კლინტონს, როგორც მე. ახლა კრიტიკის დრო არ არის. აუცილებელია ერთიანობა, – განაცხადა სანდერსმა.

სიტყვით ამერიკის პირველი ლედი მიშელ ობამაც გამოვიდა. მან აღნიშნა, რომ ვიკილიქსის დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ დემოკრატების ბანაკში ერთგვარი განხეთქილება შეინიშნება, რაც საგანგაშოა.

– მსურს შეგახსენოთ, რომ ჰილარი კლინტონის ალტერნატივა დონალდ ტრამპია! – განაცხადა პრეზიდენტ ობამას მეუღლემ.

დემოკრატიული პარტიის წევრმა და ყრილობის დელეგატმა კესიდიმ აღნიშნა, რომ ამერიკაში ყველა მოქალაქეს აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება გააჩნია. დემოკრატიულ პარტიაშიც არიან ადამიანები, რომელთაც განსხვავებული მოსაზრება აქვთ, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პარტია დაიშლება. პირიქით, არჩევნებზე დემოკრატები ერთიანი ფრონტი გამოვლენ.

– ეჭვი არ მეპარება, რომ არჩევნებზე პარტია ერთიანი ფრონტით გამოვა, რადგან ყველა ხედავს, რომ ჰილარის ალტერნატივა დონალდ ტრამპია, – აცხადებს კესიდი.

ჰილარი კლინტონი აშშ-ს ისტორიაში პირველი ქალია, რომელიც პრეზიდენტობაზე კენჭს იყრის. მისი რეიტინგი ტრამპისას უკვე 15 პროცენტით აღემატება.

ტრამპის მიმართ უარყოფითი განწყობილებები დომინირებს ინტელიგენციაში, სტუდენტობაში, დიასახლისებში. აშშ-ს ზანგ მოქალაქეებში ტრამპის მხარდამჭერებად ძირითადად მუშები, ღარიბი ფერმერები და ამერიკის ის მოქალაქეები გვევლინებიან, რომლებმაც უმაღლესი განათლება არ მიიღეს.

თავად ტრამპის მომხრენი კი ჯიუტად ამტკიცებენ, რომ მათი კანდიდატი ყველაზე პოპულარული ამერიკელი პოლიტიკოსია.

—– ტრამპმა ჰილარის უკვე რამდენიმე პროცენტით გადაუსწრო! – ამბობენ ისინი.

ობამა: „შესაძლოა, რუსეთი ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩაერიოს“

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ განაცხადა, რომ რუსეთი, შესაძლოა, ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებში ჩაერიოს. ობამამ ხაზი გაუსვა, რომ არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა რუსები ამერიკის კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურების ელფოსტაში აღწევდნენ.

– ავიღოთ თუნდაც ვიკილიქსის მერ გამოქვეყნებული უკანასკნელი დოკუმენტები, რომელთა თანახმადაც, თითქოს პრაიმერიზის დროს დემოკრატიული პარტია ჰილარი კლინტონს ეხმარებოდა. ეს სრული სიცრუეა, – თქვა ობამამ.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ დამაფიქრებელია დონალდ ტრამპის უკანასკნელი განცხადებები, სადაც უკვე არამხოლოდ პუტინისადმი აღფრთოვანებაა დაფიქსირებული. ტრამპი ღიად აცხადებს, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ამერიკას მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციიდან გაიყვანს, ილაშქრებს ნატოს წინააღმდეგ და ა.შ.

– კანონზომიერია, რომ რუსეთი ასეთ კაცს მხარს უჭერდეს, – ამბობს ამერიკის პრეზიდენტი.

ობამამ აღნიშნა, რომ გამოძიების ფედერალური ბიურო ტრამპის რუსებთან კონტაქტებით უკვე დაინტერესდა. მიმდინარეობს გამოძიება, თუ როგორ მოხდა ყალბი დოკუმენტების შეთითხვნა და მათი გამოქვეყნება.

სროლები ერევანში

26 ივლისს, საღამოს ერევანში სროლა ატყდა.

პოლიციის შენობასთან, სადაც თავდამსხმელები არიან გამაგრებული, 10.000 მანიფესტანტი იყო შეკრებილი. რამდენიმე მათგანმა მსუბუქი ავტომანქანით პოლიციის კორდონის გარღვევა სცადა.

პოლიციელებმა მათი მიმართულებით ცეცხლი გახსნეს. საბედნიეროდ, ტყვია არავის მოხვდა.

პასუხად შენობაში გამაგრებული შეიარაღებული ჯგუფის წევრები ქუჩაში გამოვიდნენ და პოლიციის მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლეს. შემდეგ იქვე მდგომი რამდენიმე მანქანა გადააბრუნეს და ცეცხლი წაუკიდეს.

პოლიციამ საპასუხო ცეცხლი გახსნა.

სროლის შედეგად დაიჭრა ორი თავდამსხმელი, არუთუნიანი და ოვანესიანი. ხანმოკლე მოლაპარაკების შემდეგ პოლიცია დათანხმდა, რომ ორივე საავადმყოფოში გადაეყვანათ. არუთუნიანსა და ოვანესიანს გაუკეთდათ ოპერაცია. ახლა მათ სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

გუშინ კი თავდამსხმელებმა სასწრაფო დახმარების ბრიგადის 4 წევრი მძევლად აიყვანეს.

ისინი ექიმებს იმის სანაცვლოდ გაათავისუფლებენ, თუ განყოფილების ტერიტორიაზე სომხეთის ჯანდაცვის მინისტრი და ექიმები ჩავლენ და ოპერაციებს ჩაატარებენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასო!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

ბელორუსმა მსოფლიოში ყველაზე დიდი შვეულმფრენი გაწია

ბელორუსმა ძალოსანმა კირილ შიმკომ მოახერხა 20 მეტრზე გადაეადგილებინა მსოფლიოში ყველაზე დიდი შვეულმფრენი – მი-26.

შიმკომ ეს ნომერი მინსკის ლიპკის აეროდრომზე განახორციელა, სადაც საავიაციო სპორტის ფესტივალი მიმდინარეობდა. ბელორუსმა საფრენი აპარატი დამოუკიდებლად ბაგირით გაათრია. რომელიც მას სხეულზე შემოკრულ ქამარზე ჰქონდა მიმაგრებული.

აღნიშნული შვეულმფრენის წონა 28,2 ტონას აღემატება. ასევე აღსანიშნავია, რომ ეს საფრენი აპარატი იქნა გამოყენებული ამერიკელი რეჟისორის ჯონ მურის ფილმის „კერკეტი კაკალი 5-ს“ გადაღებებში.

ამ შედეგის გარდა, შიმკოს აქტივშია ორი ასაფრენად გამზადებული თვითმფრინავის იაკ-52-ს რამდენიმე წუთით ხელებით შეკავება. თითოეული მათგანის ასაფრენმა წონამ თითქმის ტონანახევარი შეადგინა. ასევე მან მოახერხა სარკინიგზო შემადგენლობის, 150 ტონიანი თვითმფრინავის, ტანკ ტ-34-ს, თვითმცლელი ბელაზის და 118 ტონიანი ამწეკრანის გადაადგილება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

● გიწვევთოფისშისამუშაოდ,აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

მკურნალობა

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოს, სათესლე ჯირკვლებისა და პროსტატის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ სათანადო აპარატსა და კავშირის დასამყარებელ საიმედო „ერექტორს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ –ჩიყვი (კვანძოვანკისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

დინამოელთა ჯახი ზაგრებელთა გამარჯვებით დასრულდა

დინამო (ზაგრები) – დინამო (თბილისი) 2:0

ზაგრები. მაქსიმირი 1:0 სუდანი (39), 2:0 ჩორიჩი (42)

დინამო (ზ): ედუარდუ, სტოიანოვიჩი, სიგალი, ბენკოვიჩი, როგი, მაჩადუ (ფერნანდესი 9), ანტოლიჩი, პივარიჩი, ჩორიჩი (ენრიკესი 73), სუდანი, ჰოჯიჩი (ჟონასი 62)

დინამო (თბ): სკრიბე, ლობჟანიძე, ამისულაშვილი, რენე ფერეირა, ჭელიძე, ჯიღაური, პარუნაშვილი, პაპუნაშვილი (კურიე 56), კიტეიშვილი (გელაშვილი 46), ჭანტურიშვილი, დვალიშვილი (ცინცაძე 78)

ხორვატიის დედაქალაქში მაქსიმირის სტადიონზე, უეფას ჩემპიონთა ლიგის მესამე რაუნდის პირველი მატჩი გაიმართა. ადგილობრივმა დინამო ზაგრებმა დინამო თბილისს უმასპინძლა და საპასუხო მატჩს ქართული გუნდი 2-ბურთიანი ჩამორჩენით შეხვდება.

არადა, თამაშის მსვლელობა ისეთი იყო, რომ ქართულ დინამოს წასაგები არაფერი ჰქონდა. ეს ერთი შეხედვით, რადგან ზლატკო კრანჩარმა ტაქტიკურად სუფთად მოუგო დუელი იურაი იარაბეკს. ხორვატებმა ბურთი მოედნის ცენტრში დათმეს და თამაში კონტრშეტევებზე ააგეს. ამ ტაქტიკამ გაამართლა, რასაც საშემსრულებლო კლასიც დაემატა და 3-წუთიან მონაკვეთში თბილისურმა გუნდმა ყველაფერი წყალში ჩაყარა.

შეხვედრა ორივე გუნდმა აქტიურად და აგრესიულად დაიწყო. კარში პირველი დარტყმა მასპინძლებმა განახორციელეს. მე-16 წუთზე დაახლოებით 22 მეტრიდან სიგალმა დაარტყა, ბურთი ანტონი სკრიბესთვის მარტივი ნადავლი გახდა. 5 წუთში სტუმრებმა შეუტიეს სახიფათოდ, ვახო ჭანტურიშვილმა ითამაშა ტექნიკურად, მეტოქე ჩამოიცილა, საბოლოო დარტყმა კი ლაშა პარუნაშვილმა შეასრულა, მაგრამ არაზუსტად.

ცოტა ხანში მასპინძელთა კარის მიმართულებით სახიფათო საჯარიმო დაინიშნა, გიორგი პაპუნაშვილმა დაარტყა, შემდეგ დასწრებაზე ვახო ჭანტურიშვილმა გაიტანა, მაგრამ არბიტრმა თამაშგარე დააფიქსირა. ვახო ჭანტურიშვილი კიდევ ერთხელ დაემუქრა ხორვატთა კარს, მისი ძლიერი დარტყმული სულ მცირედით აცდა მიზანს.

მატჩის მე-40 წუთზე მასპინძლებმა მოახერხეს ანგარიშის გახსნა, გოლი სუდანმა გაიტანა. ორ წუთში ზაგრებელებმა მეორე გოლი გაიტანეს. ზუსტი დარტყმა ანტე ჩორიჩის ანგარიშზეა. პირველი ტაიმიც მალე დასრულდა.

მატჩის მეორე ნახევარი თბილისელებმა ცვლილებით განაახლეს. ოთარ კიტეიშვილის ნაცვლად მოედანზე ნიკოლოზ გელაშვილი შევიდა.

მატჩის 54-ე წუთზე თბილისელებმა სახიფათოდ შეუტიეს. კერძოდ, ვლადიმერ დვალიშვილმა იყოჩაღა რომელიც საჯარიმოს კუთხესთან აკრძალული ილეთით შეაჩერეს. ჯარიმა დინამომ სწრაფად გაითამაშა, გელაშვილმა კი ხელსაყრელი მომენტი გაუშვა ხელიდან და ბურთი საკმაო მანძილით აცდა კარს.

იარაბეკის ფეხბურთელებმა უმატეს შეტევებს – ჯერ პარუნაშვილმა დაარტყა შორიდან, შემდეგ – ჯიღაურმა. მერე იყო და კუთხურს უჩა ლობჟანიძემ შეაგება თავი, მაგრამ ბურთი გარედან მოხვდა ბადეს.

მატჩის 86-ე წუთზე ჯიღაურმა ძლიერად გაისროლა, ბურთს ედუარდუ ბოლო წამს მისწვდა და კუთხურზე მოიგერია. შეხვედრის დამატებულ მესამე წუთზე მასპინძელთა კონტრშეტევა და ანხელო ენრიკესმა ახლო მანძილიდან ააცილა.

საბოლოოდ მატჩი 2:0 დასრულდა.

საპასუხო შეხვედრა თბილისში, დინამო არენაზე 2 აგვისტოს გაიმართება და თბილისის დროით 21.00 საათზე დაიწყება.

იურაი იარაბეკი:

– ზაგრების დინამომ კარგად ითამაშა, მაგრამ მე-40 წუთამდე არც ჩემი გუნდი გამოიყურებოდა ურიგოდ. მერე მოვდუნდით და მცირე დროში 2 გოლი მივიღეთ. ეს ჩვენთვის გაკვეთილი იქნება, რომელსაც აუცილებლად გავაანალიზებთ.

საპასუხო მატჩი? – ვფიქრობ, შანსი 30% გვაქვს. „დინამო არენაზე“ 40.000 გულშემატკივარი მოვა და იქ მეტოქისთვის ნამდვილი ჯოჯოხეთი იქნება. მომდევნო ეტაპზე გასვლა თუ გვინდა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ პირველ 20-25 წუთში გოლი გავიტანოთ.

ზლატკო კრანჩარი:

– ვიდრე ველოდით, იმაზე რთული თამაში გამოვიდა, მაგრამ ეს გამარჯვება დავიმსახურეთ. დასაწყისი კარგი არ გვქონია, თუმცა მერე სიტუაცია დავალაგეთ. მინდა მადლობა გადავუხადო გულშემატკივრებს, რომლებიც მხარს გვიჭერდნენ, მათ დაიმსახურეს ეს გამარჯვება. ადვილი თამაში არც თბილისში გვექნება, რადგან დინამო კარგი გუნდია, თუმცა ჩვენ უკეთესი ვართ.

გიორგი ჭანტურია: „მე პროფესიონალი ვარ“

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი გიორგი ჭანტურია კარიერას ეკატერინბურგის ურალში რომ გააგრძელებს, ადრეც ვწერდით. გიორგი უკვე ჩავიდა რუსეთში და ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებს.

ჭანტურიასთვის რუსეთი უცხო არ არის – 23 წლის გარემარბს ვლადიკავკაზის ალანიაში უთამაშია, სადაც ჰოლანდიური ვიტესიდან იყო გაწათხოვრებული.

არადა, კარიერა მძლავრად დაიწყო: ჯერ იყო ბარსელონას აკადემია, შემდეგ ჰოლანდიური ვიტესი, ბოლოს გერმანული დუისბურგი და ახლა ურალი.

ახალწვეული ყურადღების ქვეშ უმალ მოექცა და მისი ინტერვიუ რუსული კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

– როგორ აღმოჩნდი ურალში?

– კლუბის წარმომადგენლები, აგენტთან ერთად, საქართველოში მესტუმრნენ და მითხრეს, რომ ჩემ მიმართ ინტერესი ჰქონდათ. მიამბეს ქალაქზე, გუნდზე. ამის შემდეგ აზრი ოჯახის წევრებს ვკითხე, რის შემდეგაც გადავწყვიტეთ, რომ ეს ჩემთვის კარგი ვარიანტი იყო.

– ურალის რომელიმე ფეხბურთელს იცნობდი?

– ვოვა ხოზინს. ერთად ვთამაშობდით ალანიაში.

– რუსეთში დიდი ხნის წინ თამაშობდი. როგორ ფიქრობ, მას შემდეგ როგორ შეიცვალა ჩემპიონატი?

– დიდი ხანია, რუსეთის ჩემპიონატში არ მითამაშია, მაგრამ დონე მაშინაც საკმაოდ მაღალი იყო. რუსეთში ახლაც ბევრი კარგი გუნდია და ვფიქრობ, აქ თამაშით კარგ გამოცდილებას შევიძენ.

– როდის ეწვიე ეკატერინბურგს?

– საათებია, რაც აქ ვარ. ღამის ქალაქს თვალი შევავლე და ჩემი ბინის მონახულება მოვასწარი.

– გსმენია ურალის ზამთარსა და ყინვაზე?

– ამაზე უკვე არაერთი მესაუბრა, მაგრამ მე პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ. უნდა ვიმუშაო იმ პირობებში, როგორიც იქნება. მთავარია, გუნდს დავეხმარო.

– ეკატერინბურგში „ვალენკები“ არ წამოიყოლე?

– არა. როგორც კი აცივდება, გავიქცევი და შევიძენ.

– უკვე ვარჯიშიც იყო, მაგრამ მთლიან ჯგუფთან ერთად არ ჩანდი.

– კარგ ფიზიკურ ფორმაში ვარ. მთლიან ჯგუფთან ერთად კი იმიტომ არ ვივარჯიშე, რომ გვიან ღამით ჩამოვედი. პრაქტიკულად, გამოძინებაც ვერ მოვასწარი. დღეს ინდივიდუალური პროგრამით ვივარჯიშე, ხვალიდან კი, ალბათ, გუნდთან ერთად შევუდგები წვრთნას.

ოლიმპიადას ფედერერი და დოპინგში მხილებული სპორტსმენები დააკლდებიან

რიოს ოლიმპიურ თამაშებს ერთ-ერთი ფავორიტი და სპორტის კოლორიტული ფიგურა როჯერ ფედერერი გამოაკლდა. შვეიცარიელი ჩოგბურთელი არა მარტო ოლიმპიადას, არამედ სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს და ამის მიზეზი ტრავმაა.

როჯერ ფედერერი:

– ძალიან იმედგაცრუებული ვარ, რომ შვეიცარიას ოლიმპიადაზე ვერ წარვადგენ. მომიწევს სეზონის დარჩენილი ნაწილის გამოტოვებაც. ექიმებთან და ჩემს გუნდთან კონსულტაციის შემდეგ მივიღე სეზონის დასრულების გადაწყვეტილება, რადგან დრო მჭირდება მუხლზე ოპერაციის შემდეგ აღდგენისთვის.

რიოს ოლიმპიადას კიდევ რამდენიმე სპორტსმენი დააკლდა. ამჯერად დოპინგის გამო და სკანდალში კვლავ რუსები არიან. ჯერ იყო და 68 მძლეოსანი მოკვეთეს, შემდეგ ზედ 7 მოცურავე მიაყოლეს, ახლა კი სხვა სახეობების ჯერი დადგა.

რუსეთის ძალოსნობის ფედერაცია ერთწლიან დისკვალიფიკაციას მიიღებს საერთაშორისო ფედერაციისგან და, შესაბამისად, რიოში ვერც ერთ რუს ძალოსანს ვერ ვიხილავთ.

თუ 2008 და 2012 წლების ოლიმპიადების დოპინგ-სინჯების გადამოწმებისას, მინიმუმ 3 სინჯის შედეგი დადებითი იქნება, რუსი ძალოსნები მოკვეთილნი იქნებიან. არადა, პირველ ტესტებზე 4 მათგანი უკვე ჩავარდა – რუსლან ალბეგოვი, ნადეჟდა ევსტიუხინა, მარინა შაინოვა და აპტი აუჰადოვა.

დისკვალიფიცირებულ ძალოსნებს დაემატება 5 ნიჩბოსანი, რომლებიც კანოეთისა და კაიაკით ნიჩბოსნობაში გამოდიან. სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციამ არ გაუშვა რიოში ალექსანდრა დიაჩენკო, ელენა ანიუშინა, ნატალია პოდოლსკაია (კაიაკი), ანდრეი კრაიტორი და ალექსეი კოროვაშკოვი (კანოე), რადგან მათი გვარებიც ფიგურირებდა რიჩარდ მაკლარენის ანგარიშში.

რიოში კიდევ 3 რუს სპორტსმენს ვერ ვიხილავთ აკადემიური ნიჩბოსნობიდან: ივან პოდშივალოვს, ივან ბალანდინს და ანასტასია კარაბელშჩიკოვას.

უკვე გაცხადდა, რომ ოლიმპიადაზე არ დაუშვეს ხუთჭიდელები: მაქსიმ კუსტოვი და ილია ფროლოვი. ბოლო ინფორმაციით კი, რიოში არ მიდის რუსეთის მამაკაც ფრენბურთელთა ნაკრების მოთამაშე ალექსანდრ მარკოვი, რომელსაც აპრილში ორგანიზმში მელდონიუმი აღმოუჩინეს.

ლაბორალ კუჩას თორნიკე შენგელია გასაშვებად არ ემეტება

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ლაბორალ კუჩას კალათბურთელის, თორნიკე შენგელიას გადაბირება ბერძნულ პანათინაიკოსს მოუწადინებია.

ევროპული სააგენტოების ცნობით, ქართველი კალათბურთელი ბერძნული გუნდის ერთ-ერთი მთავარი სამიზნეა.

თუმცა, კალათბურთელი არც ლაბორალ კუჩას ეთმობა და შენგელიას სხვა კლუბში გაშვებას არ აპირებს.

ამიტომაც, ლაბორალ კუჩა შენგელიას ახალი სეზონიდან ახალ კონტრაქტს სთავაზობს, რის შედეგად ჩვენებური ლაბორალ კუჩას ყველაზე მაღალანაზღაურებადი კალათბურთელი იქნება. ქართველი ფორვარდი ხელფასის სახით წლიურად 800.000 ევროს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ შენგელია ლაბორალ კუჩაში 2014 წელს გადაბარგდა და ესპანურ კლუბთან მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს.

ფიფა მსოფლიოს ჩემპიონატს 40 გუნდამდე ზრდის

ფიფა ინოვაციის შემოტანას აპირებს პლანეტის საფეხბურთო ფორუმზე. 2026 წლის ჩემპიონატზე მონაწილეთა რაოდენობა 40-მდე გაიზრდება.

ფიფას პრეზიდენტმა ჯანი ინფანტინომ ნიგერიაში ვიზიტისას მუნდიალზე მონაწილეთა რაოდენობის გაზრდის გეგმა დაადასტურა. ხარჯზე მოხდება.

ჯანი ინფანტინო:

– ვფიქრობ, 2026 წლის მსოფლიო ჩემპიონატი 40-გუნდიანი უნდა იყოს, 8 დამატებითი ადგილიდან კი 2 მაინც აფრიკას უნდა შეხვდეს.

ამჟამად ფინალურ ტურნირზე 32 გუნდი მონაწილეობს, აფრიკას კი 5 წარმომადგენელი ჰყავს.

2026 წლის ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობის შესახებ გადაწყვეტილებას ოქტომბერში მიიღებენ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

26 ივლისი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ბატე-დანდალკი	1:0
ლუდოგორეცი-ცრვენა ზვეზდა	2:2
სპარტა-სტიაუა	1:1
პლზენი-ყარაბაღი	0:0
პარტიზანი (ტ)-ზალცბურგი	0:1
როსტოვი-ანდერლეხტი	2:2
დინამო (ზ)-დინამო (თბ)	2:0
აიაქსი-პაოკ	1:1
შახტარი-იანგ ბოიზი	2:0

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



შვედეთში კოღოების დაჭერაში ჩემპიონატი ჩატარდა

შვედეთის ქალაქ ევერტურნეოში გაიმართა ჩემპიონატი კოღოების დაჭერაში. ტურნირის გამარჯვებულმა კრისტოფერ ეკერსუნდმა 135 მწერის დაჭერა მოახერხა.

აღნიშნული კონკურსი მეორედ გაიმართა. გასული ტურნირის გამარჯვებულმა ტომი კიურომ ამჯერად მხოლოდ 98 კოღოს დაჭერა მოახერხა და მესამე ადგილზე გავიდა. სულ ამ შეჯიბრში 42 ადამიანი იღებდა მონაწილეობას. ტურნირის წესების თანახმად, მათ 15 წუთი ეძლეოდათ მწერების დასაჭერად.

– იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი სისხლისმწოველის დაჭერა მოახერხოთ, აუცილებელია ჩაიცვათ მუქი ფერის ტანსაცმელი, გაოფლიანდეთ და გაუნძრევლად იდგეთ, – განაცხადა ჩემპიონატის გამარჯვებულმა კრისტოფერ ეკერსუნდმა.

ამგვარი შეჯიბრის გამართვის იდეა მას შემდეგ დაიბადა, როდესაც ქალაქის ადმინისტრაციამ ადგილობრივი ტყეების კოღოს საწინააღმდეგო საშუალებებით დამუშავება აკრძალა.

ამ გამარჯვებისთვის ეკერსუნდმა 10 ათასი კრონი (დაახლოებით 1,2 ათასი დოლარი) მიიღო. სულ ჩემპიონატის მონაწილეებმა 600-დან 700 კოღომდე დაჭერა მოახერხეს.

ინდონეზიურ რესტორანში კერძებს უნიტაზებთან მოგართმევენ

ინდონეზიის ქალაქ სემარანგში მდებარე რესტორანი თავის მომხმარებლებს კერძების და სასმელების მირთმევას ორიგინალურად სთავაზობს. ტრაპეზის დროს დაწესებულების სტუმრები უნიტაზებზე ისხდებიან.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კაფეს სახელწოდება ჯამბანი ინდონეზიურიდან ითარგმნება, როგორც „ტუალეტი“. თვითმომსახურების სისტემის დაწესებულების საფირმო კერძს წარმოადგენს ქვეყნისთვის ტრადიციული წვნიანი ხორციანი ბურთულებით, რომელსაც ისევე, როგორც სხვა კერძებს, ღამის ქოთნით მოგართმევენ და შემდეგ მას თავად სტუმარი გადაიღებს თავის თეფშზე. აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით რესტორანში მაგიდის შეკვეთა მხოლოდ მცირე ჯგუფისთვისაა შესაძლებელი.

ჯამბანი კაფეს მფლობელი ბუდი ლაკსონო ადრე ქვეყნის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტში მუშაობდა. ხოლო თავისი რესტორნის თემატიკით სურს საზოგადოების ყურადღება მიაპყროს მსოფლიოს მესამე სამყაროს ქვეყნების მცხოვრებთა პირობებს.

ორეგონელი კატა 11 წლის შემდეგ იპოვეს

ამერიკის ორეგონის შტატის ქალაქ პორტლენდში 11 წლის წინ დაკარგული კატა სახელად მისტი მის პატრონს დაუბრუნეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2005 წელს კატას პატრონებმა დინ მაკრიმ და მერედიტ უორენმა ხანგრძლივი წარუმატებელი ძებნის შემდეგ ჩათვალეს, რომ მათი საყვარელი ცხოველი მოკლეს. სად იმყოფებოდა 10 წელზე მეტი ხნის მანძილზე კატა, უცნობია. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მისტი ცხოველთა თავშესაფარში ახლახან აღმოჩნდა.

დაწესებულების ვეტერინარებმა მოახერხეს, ამოეკითხათ ინფორმაცია კატის მიკროჩიპიდან, რისი წყალობითაც მოახერხეს მისი პატრონების ვინაობისა და მისამართის დადგენა.

ამერიკელმა ბავშვის ოთახი ჰარი პოტერის მოტივებზე მოაწყო

ამერიკის ილინოისის მცხოვრებმა თავისი შვილის ოთახი ჰარი პოტერის ფილმების სტილში მოაწყო. კეისი დანიელი ბრიტანელი მწერალი ქალის ჯოან როულინგის წიგნის ეკრანიზაციის დიდი თაყვანისმცემელია. აღსანიშნავია, რომ მამაკაცმა მოახერხა დაეყოლიებინა მეუღლე, ბავშვის ოთახი კინოსაგის სტილის შესაბამისად გაეფორმებინათ.

საბავშვო ოთახის მოსაწყობად ცოლქმარს რამდენიმე თვე დასჭირდათ. ამის შედეგად მათი შვიდი თვის შვილი, ფინლი ცხოვრობს ოთახში, რომელსაც ამშვენებს მაგების პორტრეტები, ჰოგვარტსის სკოლის ატრიბუტები, სურათები პეიზაჟებით ჰარი პოტერის ფილმებიდან და ა.შ.

დანიელმა ბავშვის ოთახის მოწყობის დასრულების შემდეგ, მისი ინტერიერის ამსახველი ფოტოსურათები ფეისბუქში გამოაქვეყნა, რომელთაც ამ დროისთვის ექვსი ათასზე მეტი მოწონება და 600-მდე კომენტარი მიიღეს.

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლინდსი ლოჰანზე საქმრო ძალადობს

შეწყდება, – აღნიშნა 30 წლის ლოჰანმა.

– მე და ჩემს საქმროს გვსურს, თავად გავერკვეთ ჩვენ სირთულეებში, სხვათა ჩარევის გარეშე. მსოფლიოში ხომ უამრავი ისეთი რამ ხდება, რომელიც ჩვენ ურთიერთობაზე გაცილებით მნიშვნელოვანია, – დაამატა მსახიობმა.

მას მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მეზობლები ლოჰანისა და მისი საქმროს ჩხუბის მოწმენი გახდნენ. მათი აზრით, თითქოსდა საქმრო ლოჰანის დახრჩობას ცდილობდა, ხოლო თავად მსახიობმა განაცხადა, რომ მათ შორის ყველაფერი დამთავრებულია. მან რუს საქმროს ასევე „შეშლილი ფსიქოპათი“ უწოდა.

წყვილს შორის მომხდარი ჩხუბის ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა გამოცემამ გამოაქვეყნა. ასევე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პოლიცია გამოძახებით მისული იყო ლოჰანის ბინაში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

გვარდიოლა მანჩესტერ სიტიში დისციპლინას ამყარებს

საინტერესო ინფორმაცია ვრცელდება ხოსეპ გვარდიოლაზე და მის მანჩესტერ სიტიზე. როგორც გაირკვა, გვარდიოლა იმ ფეხბურთელებს, რომლებსაც ზედმეტი წონა აქვთ, სხვა ფეხბურთელებთან ერთად ვარჯიშს უკრძალავს, სანამ ისინი ოპტიმალურ ფორმაში არ ჩადგებიან.

უფრო მეტიც, გვარდიოლა მკაცრად მოეპყრობა იმათ, ვინც რეჟიმს დაარღვევს. წონის პრობლემა იაია ტურეს და სამირ ნასრის აქვთ, ამის გამო მათ შესაძლოა გუნდის დატოვება მოუწიოთ.

მასკერანომ ბარსელონასთან 3-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი

ბარსელონას არგენტინელმა მცველმა ხავიერ მასკერანომ ახალ, სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის მიხედვითაც, ის კატალონიურ გუნდში 2019 წლის ჩათვლით ითამაშებს.

ზაფხულში ბევრი იყო საუბარი იმის შესახებ, რომ მასკერანო ბარსელონას დატო-

ვებდა და კარიერას ტურინის იუვენტუსში გააგრძელებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, გუნდები ვერ შეთანხმდნენ.

ხავიერ მასკერანო ბარსელონას 2010 წელს შეუერთდა და ის უკვე 6 წელიწადზე მეტია ამ კლუბში. ბარსელონასთან ერთად მასკერანომ უამრავი ტიტული მოიგო, მათ შორის 2 ჩემპიონთა ლიგა, 4 ესპანეთის ჩემპიონატი და 3 ესპანეთის სამეფო თასი.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი
28 ივლისისთვის

ვერძი – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. მიზანი დაისახეთ და მის განხორციელებას შეუდექით, ოღონდ თავს ნუ დაკარგავთ. გრძნობები აკონტროლეთ. **კურო** – ეს დღე განსაკუთრებით იღბლიანია ქალებისთვის. გარშემომყოფები თქვენ მიმართ სიმპათიით არიან განწყობილი. ყველაფერი საკმაოდ იოლად გამოგდით. **ტყუპები** – მოზღვავებული ენერგია საშუალებას მოგცემთ, გრძელვადიანი გეგმების განხორციელებას თამამად შეუდგეთ, ოღონდ ნუ გარისკავთ, რათა მოტყუებული არ დარჩეთ. **კირჩხიბი** – სერიოზული დღეა, რომელიც უკავშირდება ფასეულობების გადაფასებას, სულიერების სრულყოფას, ასევე მიღებული ინფორმაციის საფუძვლიანად გადამოწმებას. **ლომი** – ვარსკვლავები გირჩევენ, აუცილებლად მიაქციოთ ყურადღება ჯანმრთელობას. იკვებეთ სწორად. პროდუქტების ყიდვისას უპირატესობა მიანიჭეთ არა რაოდენობას, არამედ – ხარისხს. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში გაფანტული და დაბნეული ხართ. საქმიანი კონტაქტებისათვის შეუფერებელი დღეა. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. **სასწორი** – ენერგია გემატებათ. დაწყებულ საქმეს წარმატებით დაასრულებთ. იღბლიანი იქნება ურთიერთობა ბიზნესპარტნიორებთან. **ღრიანკალი** – მორალურ კმაყოფილებას მოგგვრით ახალი, საინტერესო საქმის დაწყება, რომელიც, სავარაუდოდ, წარმატებით დამთავრდება. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას არ აჩქარდეთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის, ხელშეკრულებების გასაფორმებლად. ერიდეთ კონფლიქტს უცხო ადამიანებთან. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ჩანაფიქრის რეალიზებას საკმაოდ სწრაფად მოახერხებთ. დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თქვენდამი საპირისპირო სქესის დამოკიდებულება. **მერწყული** – ვარსკვლავები გამცნობენ, რომ თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები იწყება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კუთხით. სირთულეების შემთხვევაში დახმარება ახლო მეგობრებს სთხოვეთ. **თევზები** – რთული და წინააღმდეგობრივი დღეა. გელით წარმატებებიც და იმედგაცრუებაც. პოზიტივის შექმნაში თქვენთვის დამახასიათებელი ოპტიმიზმი დაგეხმარებათ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 2. რაიონული ცენტრი იმერეთში; 3. სხვა ქვეყნის ტერიტორიის ძალის გამოყენებით დროებით დაკავება; 4. მონასტერი თეთრი წყაროს რაიონში; 8. უძველესი ქართული ხალხური თეატრალიზებული თამაში-წარმოდგენა; 9. წყალმცენარეების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 11. კაზაკთა დიდი სოფელი; 12. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 14. ქართული გაზეთი; 16. ბეჭედში, ბოროში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი; 17. სიახლის შემომტანი რამე საქმეში; 19. ესპანური წესით დამზადებული შებოლილი ღორის ხორცი; 21. ტროპიკული მცენარე, რომელიც მხოლოდ ერთხელ ყვავის.

თარაზულად: 5. მიწის სათხრელი მანქანა; 6. დედათა მონასტრის წინამძღვარი; 7. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 10. სტადიონი მეხიკოში; 13. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 15. მიწაში ბინადარი ცხოველი; 18. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 20. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 22. მეცნიერება ხეხილის ჯიშების შესახებ; 23. ნიუ-იორკის ერთ-ერთი რაიონი; 24. ვერტმფრენის ძველებური სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოჰდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კალაძე; 2. კვაისა; 3. არაბული; 4. ზინდანი; 5. სვანეთი; 7. ფალანგა; 11. პროზა; 12. კინდღი; 13. ტრანშეა; 14. კასკადი; 15. „ხორუმი“; 17. აფექტი; 19. საგა.

თარაზულად: 5. სარაევო; 6. „სუფრული“; 8. სელი; 9. სუფსა; 10. ეგზემა; 11. „პეჟო“; 13. ტალავარი; 14. კროლი; 16. გაუდი; 18. კონგო; 20. დაუგავა; 21. „მარტელი“.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. რუტერი; 2. იმერეთი; 3. „კადილაკი“; 4. შიფონერი; 8. საქსაფონი; 9. ტრიპიტაკა; 11. ფსირცხა; 12. ყავა; 14. ალოე; 16. ზაქათალა; 17. ტაკელაჟი; 19. ფოლადი; 21. კიტრი.

თარაზულად: 5. ლანგუსტი; 6. დემენცია; 7. ფარვატერი; 10. „სამაია“; 13. პრიორი; 15. ღვარძლი; 18. კათოდი; 20. მაკაკა; 22. პალესტინა; 23. ალავერდი; 24. პრესტიჟი.

სამგლოვიარო განცხადებები

კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის თანამშრომლები ვიზიარებთ ინსტიტუტის თანამშრომლის მანანა სექანიას მამიდის, კეთილშობილი, სათნო ქალბატონის

თინათინ ლავრენტის ასულ სექანია-ბუთბაიას

გარდაცვალებას.

სამძიმარსა და თანაგრძნობას ვუცხადებთ ოჯახს, ნათესავებსა და მათ ახლობლებს.

ნორა მამულია-ქავთარაძის ნათელ ხსოვნას

ნორა მამულია-ქავთარაძისა დაიბადა 1929 წლის 25 ივლისს ერასტო და ნადია მამულიების ოჯახში. სოფ. ახუთში. იაკობ მამულიას ოჯახი ყოველთვის გამოირჩეოდა პატიოსნებითა და შეძლებით. მათი კარმიდამო კოლხური გემოვნებით იყო ნაშენები, მეგრული ოდა-სასტუმრო და ჯარგვალი, დიდი ეზო, ვაზი, მარანი ამ ოჯახის მთავარი ატრიბუტი იყო, ამიტომაც სოფლის ყველა სტუმარი ამ ოჯახში მიჰყავდათ, რათა მეგრული სტუმართმოყვარეობა ეჩვენებინათ.

როდესაც სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება სოფ. ახუთში დაწყებითი სკოლა გაეხსნათ, გამიზნულად სწორედ მამულიების ოჯახი შეარჩიეს. რამდენიმე წელი ამ ოჯახში დადიოდნენ მოსწავლეები. აქ ცხოვრობდნენ სხვა რეგიონიდან ჩამოსული მასწავლებლებიც. ასე გახდა ნადია და ერასტო მამულიების ოჯახი – სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად. ასეთ გარემოში იზრდებოდა მომავალი პედაგოგი ნორა მამულია-ქავთარაძისა.

1949 წელს მან წარმატებით დაამთავრა სენაკის რაიონის სოფ. ფოცხოს საშუალო სკოლა. ადრე დაობლებულ გოგონას დახმარების ხელი გაუწოდა ნათესავმა და ახლობელმა, მაშინდელი აფხაზეთის რესპუბლიკის პროკურორმა, ცნობილმა იურისტმა ბესარიონ მამულიამ, რომლის ოჯახში გაატარა ფაქტობრივად სტუდენტობის წლები. 1949 წელს ჩაირიცხა და 1953 წელს დაამთავრა ქ-ნ ნორამ სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი „ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით“. იგი გახლდათ გამორჩეული სტუდენტი, მას უკითხავდნენ სახელოვანი პროფესორ-მასწავლებლები ლექციებს როგორებიც იყვნენ: ვახტანგ ვახანია, ვლადიმერ ჯიჯელავა, ნიკანდრო ბასილაია, ზურაბ თევზაძე და ა.შ. ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ქალბატონი ნორა მამულია გააგზავნეს გულრიფშის რაიონში (სოფ. ხევი), სადაც 1953-1955 წლებში ასწავლიდა ქართულ ენა-ლიტერატურას, 1956 წელს იგი დაუბრუნდა მშობლიურ რაიონს და 1956-1960 წლებში ახუთის საშუალო სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენას. 1960 წლიდან კი საჩიტაოს დაწყებითი სკოლის გამგე მასწავლებელია.

რამდენი პირველი სექტემბერი უზეიმია ქ-ნ ნორას მოსწავლეებთან ერთად, ამ დღეს ხომ ათასობით მოსწავლეები შეაღებდნენ სკოლის კარს. მათი ცხოვრების მთავარი დირიჟორები ხომ მასწავლებლები იყვნენ. ქ-ნ ნორას მიერ ჩატარებული გაკვეთილები იყო საინტერესო, მიმზიდველი, მან უანგარო შრომითა და კეთილსინდისიერებით პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა, ქ-ნ ნორას გულით უყვარდა თავისი საქმე, უყვარდა ბავშვები, ამიტომაც ეკიდებოდა მათ სწავლა-აღზრდას გულისყურით, იგი არა მარტო რაიონში, არამედ მთელ საქართველოში ერთ-ერთი სამაგალითო და მოწინავე მასწავლებელი იყო. მას ხშირად უყვარდა თქმა – „რომ ასწავლო უნდა იცოდე“.

საქართველოს დამსახურებული პედაგოგის ნორა მამულია– ქავთარაძის პედაგოგიური მოღვაწეობით, მის მიერ გაკვეთილის გადმოცემის მეთოდით დაინტერესდნენ თბილისშიც. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოავლინა საგანგებო კომისია პროფესორ თინა მელქაძის ხელმძღვანელობით, რომელმაც უშუალოდ შეისწავლა და მაღალი შეფასება მისცა იმ ინოვაციურ მეთოდებს, რომელსაც იყენებდა ქ-ნ ნორა.

1971 წელს ნორა მამულია-ქავთარაძემ მიიღო საკავშირო ჯილდო საპატიო ნიშნის ორდენით სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის, 1973 წელს დაჯილდოვდა მეორე ორდენითაც.

მაინც ქ-ნ ნორას მოღვაწეობის ყველაზე დიდი შედეგი და მაჩვენებელი იყო ის, რომ მის ხელში გამოუვლია ასეულობით მოსწავლეს, მისი ყოფილი მოსწავლეებიდან დღეს ბევრია პროფესორი, დოქტორი, ექიმი, იურისტი, ინჟინერი, მასწავლებელი... ესაა ყველაზე დიდი საზომი ქ-ნ ნორას პროფესიონალიზმისა. იგი უანგაროდ, უშურველად, თავდადებით ემსახურა ასეულობით წლები პედაგოგიურ საქმიანობას. იგი, როგორც გამორჩეული პედაგოგი და ორგანიზატორი, ოქროს ასოებით ჩაეწერა ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში. სამწუხაროდ, მას არ გაუმართლა პირად ცხოვრებაში, გარდაეცვალა მეუღლე და ტრაგიკულად დაეღუპა მისი გაზრდილი ერთადერთი ვაჟი გოჩა ქავთარაძე.

წავიდა ყველასგან პატივცემული, ღირსეული ქალბატონი, ღირსეული პიროვნება და დატოვა დიდი სიყვარული, მას დარჩა ძმისშვილი, დისშვილები, მათი შვილები – იგი ყველასათვის საყვარელი მამიდა, საყვარელი დეიდა და კოლეგებისთვის უძვირფასესი ადამიანი გახლდათ.

მსუბუქი იყოს მისთვის სოფ. ახუთის მშობლიური მიწა – დაე, განისვენებდეს ნათელში მისი სული.

ნათესავები, ახლობლები, კოლეგები.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯემალ სეფიაშვილს ქვეყნის მოღალატე უწოდეს



კომპოზიტორ ჯემალ სეფიაშვილს ქვეყნის მოღალატე უწოდეს. ამის მიზეზი გორში, ერთ-ერთ რესტორანში მომხდარი ამბავია, სადაც კომპოზიტორი თამაზ მეჭიაურთან და სხვა თანამოაზრეებთან ერთად რუს დეპუტატს მასპინძლობდა.

როგორც ცნობილია, ჯემალ სეფიაშვილმა პოლიტიკაში წასვლა გადაწყვიტა და თამაზ მეჭიაურის პარტიაში გაწევრიანდა.

ინტერნეტმომხმარებელი, გორის მაცხოვრებელი ნინო გიორგაძე საჯაროდ ყვება იმ ამბავს, რომელიც მას ერთ-ერთ რესტორანში შეემთხვა.

ნინო გიორგაძე:

– ერთ-ერთ რესტორანში ვივახშმეთ, გვერდით სუფრასთან პარლამენტარი და რამდენიმე ცნობილი ადამიანი მუსაიფობდა გორელებთან ერთად.

ეს ცნობილი სახე სცენაზე ავიდა, ჯიბიდან დისკი ამოიღო და მუსიკოსებს მიაწოდა. სანამ იმღერებდა, საჭიროდ ჩათვალა სიტყვით მოემართა ჩვენთვის და გვითხრა, დარწმუნებული ვარ, გორელები თამაზ მეჭიაურს აძლევთ ხმასო, გვერდით მაგიდასთან სწორედ ბატონი თამაზი ზის და გვერდს რუსეთის დუმის დეპუტატი უმშვენებსო, რომელთანაც დიდი პოლიტიკური გეგმები გვაქვსო, აბა ვის გგერათ, რომ რუსეთის გარეშე ვერ ვიარსებებთო?! ხალხი გაისუსა, მე კი ურასავით შევყვირე, „არავიიიის“-თქო, გაუტყდა!

გადავხედე მაგიდას, სულ კაცები, მხოლოდ დუმის დეპუტატს უჯდა გვერდში ქალი, სავარაუდოდ, რუსი.

მოკლედ... აშკარა იყო, დაავიწყდა, რომ სამღერლად ავიდა, მერე გაახსენდა, იმღერა, ნამღერს რამდენიმემ ტაშიც დაუკრა.

მეორედ იმღერა რაღაც რუსულად, დუმის დეპუტატის საამებლად, ტაში აღარავინ დაუკრა!

გაბრაზდა...

მოგვაძახა, ხვალაც კი არ ნახავთ ჯემალ სეფიაშვილისნაირ ხელოვანსო... დაგვაყვედრა!

გიხაროდენ! ჩვენ გორის ქალთა კამერული გუნდის ქალაქი ვართ ჯემალ და შენ – ქვეყნის მოღალატე!

ელდარ შენგელაია: „თავის მოკვლა მინდოდა“

კინორეჟისორ ელდარ შენგელაიასთვის ყველაზე რთული პერიოდი გადალახულია, თუმცა ყოველი წლის ზაფხული მისთვის ტკივილის განახლებას ნიშნავს.

მისი ნაბოლარა ქალიშვილი ელენე შენგელაია 33 წლის გახდებოდა. ნელი დავლიანიძისა და ელდარ შენგელაიას ქალიშვილი 23 წლის ასაკში ავტოკატასტროფას შეეწირა.

ელდარ შენგელაია ამ ტრაგედიამ სრულებით ჩამოაშორა კინოხელოვნებას, რეჟისორი საკუთარ თავში ჩაიკეტა და როგორც თავად ამბობს, თავის მოკვლა უნდოდა. ის დღემდე ვერ პატიობს საკუთარ თავს, რომ შვილს აჩემებული სურვილი შეუსრულა და მანქანა უყიდა. თავის თავს გამუდმებით საყვედურობს, მანქანა რომ არ გვეყიდა, იქნებ ტრაგედია თავიდან აგვეცილებინაო:

– ჩემი უდიდესი ტკივილია ჩემი უმცროსი ქალიშვილი, ელენე. ის რომ დაიღუპა, თავის მოკვლა მინდოდა. სასწაული გოგო იყო. სწავლობდა გერმანიაში, ამერიკაში, ინგლისში. ყველგან უმაღლესი შეფასებები დაიმსახურა. სამწუხაროდ, მისი სიცოცხლე 23 წლის ასაკში შეწყდა.

25 წლის აღსანიშნავად მამამ ელენეს სპეციალური ვიდეო მიუძღვნა, რომელშიც ელენეს ბავშვობიდან სიცოცხლის ბოლომდე უმნიშვნელოვანესი მომენტებია გაერთიანებული.

ელენე წერდა დღიურებს, რომლებიც მისმა მშობლებმა გოგონას გარდაცვალების შემდეგ იპოვეს.

12 წლის ელენეს ასეთი ჩანაწერები აქვს:

– ჩემი აზრით, დრო მხოლოდ ციფრები და ორი ისარი არ არის. ეს არის რაღაც, რომლის უაზროდ დაკარგვა არ შეიძლება. დრო სათუთი რამაა, სათუთად მოპყრობა სჭირდება, თორემ მერე ვინანებთ. ყველა ადამიანს სიცოცხლე დანიშნული აქვს, მაგრამ ეს მან არ იცის. გავა დრო და შეიძლება ეს დღიური სასაცილოც კი იყოს. ასეთია ცხოვრება. ვინ მოიგონა საათი, ალბათ, უფალმა, რომელმაც ცხოვრება ააწყო.

ელდარ შენგელაიას მეუღლე და ელენეს დედა, ქალბატონი ნელი იხსენებს, რომ მის გოგონას წინათგრძნობა ხშირად ჰქონდა:

– უცნაური გოგონა იყო. არ უყვარდა საზოგადოებაში გამოჩენა. როცა ელდართან ჟურნალისტები მოდიოდნენ, სახლში არასდროს ხვდებოდა. თითქოს წინათგრძნობა ჰქონდა, ამბობდა, მე არ გავთხოვდები, ქმარი არ მეყოლებაო. ხან ამბობდა, მინდა შვილს ნიცა დავარქვაო.

იმ ბოლო ზაფხულს, აგვისტოში, ქობულეთში 10 დღე დაისვენა, ჩვენ თბილისში ვიყავით. სანამ წავიდოდა, მითხრა, ისეთი შეგრძნება მაქვს, მალე უნდა მოვკვდეო. იმ საბედისწერო ზაფხულს მანქანის ყიდვა არანორმალურად აიჩემა. ელდარს არ უნდოდა, მანქანა ელენეს საქმე არ არისო, მაგრამ... მანქანამ იმსხვერპლა და 23 წლის ასაკში დაასრულა სიცოცხლე.

სწორედ ელენე შენგელაიას პატივსაცემად, მისმა მეგობარმა მომღერალმა ნინი ბადურაშვილმა თავის ქალიშვილს ელენე დაარქვა.

წლების შემდეგ, ელდარი კვლავ დაუბრუნდა გადასაღებ მოედანს და სულ მალე მაყურებელს ახალ ფილმს წარუდგენს.

„სავარძელი“ – ასე ეწოდება ფილმს, რომელიც რეჟისორის კინოკარიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია. მასში თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობები მონაწილეობენ. მართალია ეროვნულმა კინოცენტრმა სცენარიც დაუწუნა და დაფინანსებაზეც უარი უთხრა, მაგრამ რეჟისორმა საჭირო ფინანსების მოძიება და ფილმის გადაღება მაინც მოახერხა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბიბერის ორეული ნარკოტიკებს ემსხვერპლა



ლოს-ანჯელესის მცხოვრები ახალგაზრდა, რომელმაც 100 ათასი დოლარი დახარჯა იმისთვის, რათა კანადელ მომღერალ ჯასთინ ბიბერს დამსგავსებოდა, ნარკოტიკების დოზის გადამეტებისგან დაიღუპა.

ტობიას სტრეტელი გარდაცვლილი სასტუმროში გასული წლის აგვისტოში აღმოაჩინეს, თუმცა მისი დაღუპვის მიზეზი მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი. ექსპერტიზის ჩატარების დროს სპეციალისტებმა გარდაცვლილის ორგანიზმში რამდენიმე სახის ნარკოტიკული და ტკივილსაწინააღმდეგო პრეპარატის და ასევე ალკოჰოლის კვალი აღმოაჩინეს. სტრეტელი 35 წლის იყო.

სტრეტელი რამდენიმე ამერიკულ რეალითი-შოუში გამოსვლისას საუბრობდა იმ პროცედურებზე, რომელთა გადატანა მოუხდა, რათა ცნობილ პიროვნებას დამსგავსებოდა. მისი თქმით, მან წარბების, ტუჩებისა და ნიკაპის ფორმის შესაცვლელად ოპერაცია გაიკეთა. აგრეთვე მან გადაინერგა თმები. აღსანიშნავია, რომ სტრეტელი მუსიკალური კარიერის გაკეთებას ესწრაფვოდა და 2014 წლის მაისში სინგლი გამოუშვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

TV პროგრამა

ხუთშაბათი 28 ივლისი

07.30 დ/ფ "სიურრეალისტური ფოტოგრაფია" **08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **08.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ქალი რომელიც ბრუნდება**" **12.00** "მოამბე" **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **13.00** ტ/სერ. "**წინტო ვეტრინე**" **14.05** "დღე მუზეუმში" **14.30** ან/სერ. "ჯიმი ნიუტრონი გენიოსი ბიჭუნა" **15.00** დ/ფ "თოფ – გიარი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ხმა წარსულიდან**" **19.00** "კომუნიკატორი" **20.50** "ინტერვიენ" – სალომე ასათიანთან ერთად **21.30** ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის საიდუმლოება**" **22.30** "ოლიმპიური დღიური" **23.00** მხ/ფ "**საით მივსდევართ ოცნებებს**" (რ.უილიამსი) **01.10** მხ/ფ "**დილერები**"

08.00, 16.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **10.00** დ/ფ "იაპონია: იმპერატორი და ჯარი" **11.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **12.00** ტ/სერ. "**ეპას სამი ვარდი**" **13.00** "თოფ გიარი" **14.00** მხ/ფ "**ბერძენი მაგნატი**" (ე. ქუინი) **16.30** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **17.30** "გაგრელე საქართველოს ისტორია" **18.30** ტ/სერ. "**სინსრუე**" **19.30** "ტელებლოგი" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **00.30** მხ/ფ "**შეწყვეტილი ურთიერთობა**"

04.45 სერ. "**დახურული სკოლა**" **05.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **06.30** სერ. "**ფიცი**" **3** სერ. **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბაბების ველი**" **11.20** სერ. "**შუბონგი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **4** სერ. **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ "**ზარი**" **02.25** მხ/ფ "**გაქცეული პატარძალი**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ."**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ძარადა - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საბა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **23.00** პროფილი **00.00** დ/ფ "ბრძოლა თავისუფლებისთვის" შ.მალაშხია **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "**ავატარი**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 1.00** სერ. "**ბრეის ანატომია**" **13.00, 3.00** სერ. "**ძალები**" **15.00** მხ/ფ "**ბეტმენი**" **17.30** სერ. "**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 21.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **23.00** მხ/ფ "**უცხო - ალდგომა**"

06.15 სჯანი **3.** "ჩინური რელიგიები" **06.40** პატერიკი **35.** ხატმწერის შესახებ **06.50** დეკორატიული ფლორა "ვარდი" **07.05** ქართული ალბომი **07.50** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**შარავიდლები**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "კატესტემონია" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15..05** ღვთის სახლი "როგორ ყალბდებოდა აფხაზეთის ისტორია" II ნაწ. **15.20** ქართ. ან/ფ **1.** ბომბორა **2.** ბომბორა იწყებს სწავლას **15.40** დ/ფ "ხილული სასწაულები" არქიმანდრიტი სოფრატი **16.30** კონცერტი "სახიობა" **17.20** ჩვენი ფონდი ნ.შონია-სამურზაყანოს საგანმანათლებლო ისტორია **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები "ნინო მაჩაიძე" **20.40** ძილი ნებისა "ნახევარქათამა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფუტკრეობაზე **22.20** ჩვენი საგანძური "აფხაზეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა" **22.40** დ/ფ "სიწმის მცველნი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დიდ ხარ შენ უფალო...**14.** რომაელთა წინააღმდეგ იუდეველთა აჯანყება **00.25** ისტორიის დღიური **01.25** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30** "კონტაქტი" **07.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **08.00** სერ. "**ჯალმა ექიმი**" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30** სერ."**უპანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 01.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 02.30** სერ. **კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.30** სერ."**უპანასკნელი მაგიკიანი**" **18.55, 19.05** სერ. "**ზოგადი თერაპია**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ჯადოქარი**" **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. "**მახე**" **23.30** სერ. "**ფრეიდის მეთოდი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

28 ივლისისთვის

აშშ დოლარი — 2.3450	ევრო — 2.5816
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0788	100 რუსული რუბლი — 3.3517

ამინდის პროგნოზი 28 ივლისისთვის

26 ივლისიდან
სტენდალი
პარმის სავანე
ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

29 ივლისიდან
სტენდალი
პარმის სავანე
ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

ლინდსი ლოჰანზე საქმრო ძალადობს

ჰოლივუდის მსახიობმა ლინდსი ლოჰანმა თავის თაყვანისმცემლებსა და ჟურნალისტებს მოუწოდა, ნაკლები ყურადღება მიაქციონ მისი და რუსი საქმროს ეგორ ტარაბასოვის ურთიერთობას. ამის თაობაზე მან ინსტაგრამში მას შემდეგ დაწერა, როდესაც მას მედიაში გავრცელდა ინფორმაცია წყვილს შორის მომხდარი ჩხუბის თაობაზე.

– მადლობელი დავრჩები, თუ ჩემი პირადი ცხოვრების თემაზე სპეკულაციები

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ბრაზილიელმა მოდელმა ფლეიბოის ოლიმპიური ნომრისთვის გადაიღო ფოტოები



ბრაზილიელმა მოდელმა სიუზი კორტესმა, რომელმაც გაიმარჯვა კონკურსში ყველაზე ლამაზი დუნდულები „მის ბუმ-ბუმ 2015“, ჟურნალ ფლეიბოისს გარეკანისთვის გამართულ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. ამის თაობაზე ინფორმაცია გოგონამ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.

– ჟურნალ ფლეიბოის მექსიკური ვერსიის გარეკანისთვის ვმუშაობთ. ის ძალიან მალე გამოვა და ჩემო მშვენიერებო, არ გამოტოვოთ, – დაწერა კორტესმა ფოტოსურათისთვის დართულ კომენტარში. აღნიშნული ნომერი რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებს მიეძღვნება.

მოდელის ფოტოსურათმა გამოქვეყნებიდან ერთ დღე-ღამეში რვა ათასზე მეტი მოწონება მიიღო. სულ კი კორტესის გვერდს სოციალურ ქსელში 826 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, აი აქ წერია, რომ მამაკაცი სექსის დროს იმდენივე კალორიას წვავს, რამდენსაც ის 9 კილომეტრის გარბენის შემთხვევაში დაწვავდა.

– მართლა? მაშინ შენ მსოფლიოს ჩემპიონი ყოფილხარ.

– ეს როგორ?

– 9 კილომეტრი ორ წუთში, მსოფლიოს ჩემპიონის შედეგია!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– სახლიდან რომ გამოვდივარ, ჯიბეში ყოველთვის მიდევს ქაღალდის ფურცელი, უგონოდ დავთვრე, სახლში რომ მიმიყვანონ.

– და ქაღალდზე რა გიწერია?

– პარიზი, მონმარტის ბულვარი ნომერი 141.

– კი მაგრამ, შენ ხომ გლდანში ცხოვრობ?!

– რა თქმა უნდა, მაგრამ უკვე ორჯერ ვიყავი პარიზში!

•••

ერთი დაქალი მეორეს უყვება:

– გუშინ მე და ჩემმა მეუღლემ ვიჩხუბეთ და ერთმანეთს მთელი საღამო არ ველაპარაკებოდით. ერთმანეთისთვის ხმა არც ლოგინში დაწოლის შემდეგ გაგვიცია.

– მერე?

– მოულოდნელად ცხვირში რაღაცამ შემიღიტინა და ძალიან ხმამაღლა დავაცემინე.

– და ქმარმა რა გითხრა?

– „რა, უკვე შხამს ანთხევ, ჩემო გველუკავ!“

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ მე და ჩემი ცოლი კინაღამ ერთმანეთს დავშორდით.

– ეგ „კინაღამ“ რას ნიშნავს?

– ვიჩხუბეთ, მან მითხრა, რომ მშორდებოდა, მაგრამ იმდენი ხანი მოანდომა კოსმეტიკის წასმას, რომ დაავიწყდა, სად და რატომ მიდიოდა.

•••

დედამ ბავშვი ყელყურცხვირის ექიმთან მიიყვანა და ეუბნება:

– ექიმო, ჩემს გოგონას, მგონი, ყურში არ ესმის, ვეძახი, მაგრამ არ მაგონებს.

ექიმმა ბავშვი გასინჯა და მერე ჩურჩულით თქვა:

– კანფეტი.

– სად არის? – იკითხა გოგონამ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

27 ივლისიდან
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები
ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

იუვენტუსს იგუაინის ტრანსფერი 75 მილიონი ევრო დაუჯდა

ტოტიმ იგუაინი გააკრიტიკა

გონსალო იგუაინი უკვე ოფიციალურად ტურინის იუვენტუსის ფეხბურთელია და მისი ტრანსფერის შესახებ ბევრი რამ ცნობილი გახდა.

იუვემ ნაპოლის 75 მილიონი ევრო გადაუხადა, ფეხბურთელმა კი ტურინელებთან 5 წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. გარდა ამისა, გონსალომ უკვე ნომერიც აირჩია და ის 9 ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

არგენტინელმა ფორვარდმა მცირე კომენტარიც გააკეთა და თქვა, რომ იუვენტუსი მსოფლიო ფეხბურთის გრანდია და მას მხოლოდ უმაღლესი მიზნები ამოძრავებს. იგუაინის თქმით, ის იუვენტუსში უამრავი ტიტულის მოსაგებად მივიდა.

ამასობაში იგუაინის ნაპოლიდან იუვენტუსში გადასვლის გამო იტალიაში დიდი აურზაურია ატეხილი.

ნეაპოლში გონსალო უკვე გააფრთხილეს, რომ მისთვის უმჯობესი იქნება, თუ ამ ქალაქში აღარასოდეს ჩავა.

გარდა ამისა, ამ ტრანსფერის შესახებ მოსაზრება ცნობილმა ფეხბურთელებმაც გამოთქვეს, მათ შორის ფრანჩესკო ტოტიმ, რომელმაც იგუაინი გააკრიტიკა და თქვა, რომ ფეხბურთელებს მხოლოდ ფული აინტერესებთ.

ტოტის აზრით, იგუაინი უცხოელია რომელიც იუვენტუსში ბევრი ფულის საშოვნელად გადავიდა. ფრანჩესკომ დაამატა, რომ მას შეეძლო ადრე რომას დატოვება, მაგრამ მისთვის ფინანსური მხარე ყველაზე მნიშვნელოვანი არ არის და მთავარია, გიყვარდეს გუნდი, რომელშიც თამაშობ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. კლიმატური კურორტი ხაშურის რაიონში; 2. ლიხტენშტეინის დედაქალაქი; 3. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 4. გამომცემლობა საქართველოში; 5. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 7. ავადმყოფობის დროებითი შესუსტება; 11. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა „ნაიკის“ დამფუძნებელი; 12. დედამიწის არქტიკული ზონის უტყეო სივრცე; 13. ლითონის დაშლა ქიმიური პროცესების შედეგად; 14. არგენტინელი მწერალი; 15. ამერიკის კონტინენტზე, სტეპებში გავრცელებული მგელი; 17. მთიანეთი ევროპაში; 19. ველოსპორტის ერთ-ერთი დისციპლინა.

თარაზულად: 5. პრივილეგიური სამხედრო წოდების წარმომადგენელი იაპონიაში ძველად; 6. სამაგიეროს გადახდა; 8. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 9. საჭმელთა ჩამონათვალი; 10. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 11. მდინარე სანკტ-პეტერბურგში; 13. ნეპალის დედაქალაქი; 14. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 16. ინდოეთის ეროვნული გმირი; 18. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში; 20. მუსიკალური გამის მეშვიდე საფეხური; 21. ქალაქი იმერეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა